ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

| 1926 წლის დეკემბრის 31 | № 17 განყოფილება პირველი | ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული. |
|---|---|---|

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 804. ინსტრუქცია საბჭოთა არჩევნების შესახებ.
„ 805. დებულება ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესახებ.
„ 806. საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღნუსხვის ფორმებისა და ამომრჩეველთა აღნუსხვის სიების ფორმების შესახებ.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

### 804. საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ინსტრუქცია საბჭოთა არჩევნების შესახებ.

1. მიექცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების განსაკუთრებული ყურადღება ამა ინსტრუქციით დადგენილ საარჩევნო კომისიების მოწყობის წესსა და მათი უფლებების ფარგლებს, რადგანაც საარჩევნო კომისიებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მშრომელთა მასების უფლებების უზრუნველყოფისათვის და აგრეთვე იმისათვის, რათა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღონ მოსახლეობის ექსპლოატატორულმა ელემენტებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ, ამა დადგენილებისა და საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის საფუძველზე, სათანადო ცვლილებები მათ მიერ საბჭოთა არჩევნებისა და ხელახალი არჩევნების შესახებ გამოცემულ ინსტრუქციებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. დეკემბრის 21. ტფილისი-სასახლე.

# ინსტრუქცია საბჭოთა არჩევნების შესახებ

1926 წლის საბჭოთა არჩევნებმა, რაც სამოქალაქო ომის დამთავრებისა და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, პირველი ფართო და ახდილი საარჩევნო კამპანია იყო და რამაც ამომრჩეველთა დიდი აქტიურობა გამოაშკარავა—მიზნად დაგვისახა, რომ, ერთის მხრით, კიდევ უფრო ენერგიულად ჩავაბათ საბჭოებში მშრომელთა ფართო მასსა და, მეორეს მხრით, დავიცვათ ეს საბჭოები, რათა მათში არ მოხვდნენ ექსპლოატატორი ელემენტები. ამასთანავე, ის უაღრესი მნიშვნელობის მიზანი, რათა საარჩევნო პრაქტიკა რაც შეიძლება მეტად იყოს შეთანხმებული ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში, მათი კონსტიტუციების (ძირითადი კანონის) საფუძველზე, თანდათან უპირველეს და აუცილებელ მიზნად იქცევა.

ამიტომ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. სექტემბრის 28-ის თარიღის დადგენილებისა (კან. კრებ. 1926 წ. № 66, მუხ. 500 და 501) და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8, 9, 16 და 17 მუხლის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ამ ჟამად საბჭოთა არჩევნების შესახებ მომქმედი ინსტრუქციის შესაცვლელად, აწვდის ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს სახელმძღვანელოდ, ა/კსფსრ-ის საბჭოთა ყრილობაზე საბჭოების წარმომადგენელთა მომავალი არჩევნებისათვის, შემდეგ ინსტრუქციას ქალაქისა, სოფლისა და თემის საბჭოების არჩევნებისა და რესპუბლიკანური საბჭოთა ყრილობებისა და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და საოლქო, სამაზრო, საუზნო და სადაირო საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

## 1. საარჩევნო კომისიები.

1. საარჩევნო კამპანიისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, მათი პრეზიდიუმის დადგენილებით, მოეწყობა ცენტრალური საარჩევნო კომისიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური საარჩევნო კომისიების წევრთა რიცხვს და აგრეთვე მათ შედგენილობას განსაზღვრავენ სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები; ამასთანავე ამ კომისიების შედგენილობაში უნდა შედიოდენ საწარმოსთან ან სოფლის მეურნეობასთან უშუალოდ დაკავშირებულ მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები და აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლები.

2. ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საარჩევნო კამპანიისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევის გარდა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს დაეკისრებათ აგრეთვე საქალაქო და სამაზრო საარჩევნო კომისიებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საარჩევნო კომისიების მოქმედების გამო შეტანილი საჩივრების განხილვა.

3. ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე საარჩევნო კამპანიისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, ამ უკანასკნელის დადგენილებით, მოეწყობა საარჩევნო კომისია, სადაც შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, დაამტკიცებს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ორი წარმომადგენელი სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, თითო წარმომადგენელი: სათანადო პროფესიონალურ კავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მუშა-ქალთა განყოფილებისა, ქალაქის საბჭოს, ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიისა და ორი წარმომადგენალი გლეხთა კომიტეტებისა.

4. სასოფლო, სათემო და საქალაქო საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების თავისდროზე და გეგმაშეწონილად წარმოებისათვის—ადგილობრივ მოეწყობა საარჩევნო კომისიები: სამაზრო, საქალაქო, სასოფლო საუბნო, სადაირო და სათემო.

5. სამაზრო საარჩევნო კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი (ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მაზრებში, სათანადო რესპუბლიკანური და საოლქო საარჩევნო კომისიების წარდგენით,—ამ რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმი—კუთვნილებისამებრ), თითო წარმომადგენელი: სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა, ადგილობრივი საქალაქო საბჭოსი, პროფესიონალური კავშირების ბიუროსი, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მუშა-ქალთა განყოფილებისა, ეროვნულ უმცირესობათა და ორი წარმომადგენელი გლეხთა კომიტეტისა.

6. საუბნო-სადაირო საარჩევნო კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ორი წარმომადგენელი საუბნო-სადაირო აღმასრულებელი კომიტეტისა, თითო წარმომადგენელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი საბჭოსი, პროფესიონალურ კავშირთა ბიუროსი, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, გლეხ-ქალთა დელეგატების კრებისა,ეროვნულ უმცირესობათა და ორი წარმომადგენელი გლეხთა კომიტეტებისა.

7. სასოფლო და სათემო საარჩევნო კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს საუბნო-სადაირო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, კუთვნილებისამებრ, ორი წარმომადგენელი სათანადო საბჭოსი, თითო წარმომადგენელი: პროფესიონალური კავშირისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, გლეხ-ქალთა დელეგატების კრებისა და ორი წარმომადგენელი გლეხთა კომიტეტებისა.

8. საქალაქო საარჩევნო კომისიებში შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ორი წარმომადგენელი სათანადო საქალაქო საბჭოსი, თითო წარმომადგენელი: პროფესიონალური კავშირებისა, წითელი არმიისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, მუშა-ქალთა წარმომადგენელი, რომელიც აირჩევა მუშა-ქალთა საერთო-საქალაქო სადელეგატო კრებაზე, და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი.

**შენიშვნა.** ქალაქის საარჩევნო კომისიას, ეგრედწოდებულ დაურაზმელ ამომრჩეველთა აღსანუსხავად—შეუძლიან მოაწყოს განსაკუთრებული დამხმარე კომისიები რაიონებისა, კვარტალებისა და ცალკე დიდ სახლთმფლობელობისათვის.

9. საარჩევნო კომისიების უფლება-მოვალეობას შეადგენს:

ა) სათანადო ტერიტორიაზე არჩევნების კანონიერი და თავისდროზე წარმოებისათვის მეთვალყურეობის გაწევა;

ბ) ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისა და მათ რწმუნებულთა მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

გ) სათანადო აღმასრულებელ კომიტეტში არჩევნების მსვლელობის ცნობებისა და ამ საგანზე ქონებული ყველა მასალის წარდგენა;

დ) აღმასრულებელი კომიტეტებისათვის სათანადო მოხსენების წარდგენა ქვემდგომი საარჩევნო კომისიების დაშლისა, მათი ცალკე წევრების ჩამოცილებისა და აგრეთვე მათი დადგენილებების გაუქმების შესახებ;

ე) ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან ანგარიშის მოთხოვნა წარმოებული მუშაობის შესახებ;

ვ) ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მოქმედების გამო მღებული პროტესტებისა და საჩივრების განხილვა;

ზ) რწმუნებულთა დანიშვნა საარჩევნო კრებებზე თავმჯდომარეობისათვის;

თ) საარჩევნო უწყებათა დაგზავნა;

ი) ამომრჩეველთა სიების შედგენა;

კ) შედგენა იმ პირთა სიებისა, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ.

## 2. განსაზღვრა ამომრჩეველთა წრისა და იმ პირთა წრისა, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ.

10. როგორც ამომრჩეველთა, ისე საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიების შედგენისა და შემოწმების დროს, საარჩევნო კომისიებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების ძალით საარჩევნო უფლებას მოკლებულ არიან ცალკე პირები და მოსახლეობის ცალკე ჯგუფები, სახელდობრ:

ა) ის პირი, რომელიც მოგების მიღების მიზნით იყენებდა ან დღეს იყენებს დაქირავებულ შრომას;

ბ) ის პირი, რომელიც ცხოვრობდა ან დღეს ცხოვრობს არასაშრომო შემოსავლით და აგრეთვე ეწეოდა ან ეხლა ეწევა ვაჭრობას;

გ) ის პირი, რომელიც თავისი კლასობრივი მდგომარეობით ან წარსული მოღვაწეობით არჩევნების მომენტში მიეკუთვნება საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა კატეგორიას, თანახმად საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების სათანადო მუხლებისა.

11. მოქალაქეთა ცალკე კატეგორიებიდან საარჩევნო უფლების სარგებლობა არ შეუძლიანთ:

ა) იმ მიწათმომქმედთ, რომელნიც იყენებენ სასეზონო ან მუდმივ დაქირავებულ შრომას იმდენად, რომ ამით მათი მეურნეობის გაფართოება სცილდება საშრომო მეურნეობის ფარგლებს.

**შენიშვნა.** ასეთ შემთხვევაში შრომის მეურნეობის ძირითად ნიშნად ჩაითვლება დაქირავებული შრომის დამხმარე ხასიათი და მეურნეობაში მყოფი შრომის უნარიანი წევრების აუცილებელი მონაწილეობა ყოველდღიურ მუშაობაში.

ბ) იმ მიწათმომქმედთ, რომელთაც სამიწათმოქმედო მეურნეობის გარდა, აქვთ სასარეწაო და სამრეწველო დაწესებულება და საწარმო (წისქვილი, საცეხველი და სხვ.), რაც მოქმედებს მუდმივი ან სასეზონო დაქირავებული შრომის გამოყენებით;

გ) იმ პირთ, რომელნიც აკაბალებენ მოსახლეობას მისთვის მოსახმარად სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, მუშა-საქონლისა და სხვ. სისტემატიურად მიწოდებით ან რომელნიც მუდმივ აწვდიან მოსახლეობას კრედიტს (საქონელს ან ფულს) საკაბალო პირობებში;

დ) შინა-მრეწველთ და ხელოსანთ, რომელნიც მუდმივად მიმართავენ მუშახელის დაქირავებას;

ე) სამრეწველო ტიპის საწარმოს მფლობელთ, რომელნიც ეწევიან მოსახლეობის ექსპლოატაციას ამა თუ იმ სამუშაოს სახლში შესასრულებლად მიცემით;

ვ) კერძო ვაჭრებს და ჩარჩებს;

ზ) კერძო სავაჭრო და საკომერციო შუამავალთ;

თ) საქარხნო-საფაბრიკო ტიპის საწარმოთა მოიჯარადრეთ და მფლობელთ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) თეთრი არმიის ყოფილ ოფიცრებსა და მოხელეებს და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონური ბანდების ხელმძღვანელებს;

კ) ყოფილი პოლიციისა, ჟანდარმთა საგანგებო კორპუსისა და „ოხრანნოე ოტდელენიე"-ს ყველა მოსამსახურეს და აგენტს, სამეფო სახლის წევრს, აგრეთვე ყველა იმ პირს, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციისა, ჟანდარმერიისა და დამსჯელი ორგანოების მოქმედებას, როგორც სამეფო წყობილობის დროს, ისე თეთრი კონტრ-რევოლიუციონური მთავრობების დროს, მაგალითად: ყოფილ მინისტრს, მის ამხანაგს, სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორს, გენერალ-გუბერნატორს, იმ ადგილის მთავარმართებელს, სადაც შემოღებული იყო საგანგებო დაცვის წესები, სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორს, ვიცე-გუბერნატორს, თავად-აზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლს, განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელეს, სისხლის სამართლის დეპარტამენტის უფროსს თავმჯდომარეს და წევრს, აგრეთვე სასამართლო პალატის პროკურორს და პროკურორის ამხანაგს, საგანგებო საქმეთა გამომძიებელს, ყველა სახელწოდების სამხედრო სასამართლოების თავმჯდომარეებს და წევრებს, საგუბერნიო სამმართველოს წევრს, საერობო, საგლეხო და სამაზრო უფროსებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირს და საპატიმრო უწყების ყველა მოსამსახურეს;

ლ) ყველა რელიგიური კულტის ყოფილ და ახლანდელ მსახურს;

მ) ადმინისტრატიული წესით გადასახლებულ პირთ და აგრეთვე იმ პირთ, რომელთა შესახებაც გამოტანილია სასამართლოს განაჩენი, რითაც მათ, დანაშაულებრივ წრესთან კავშირის გამო, ჩამორთმეული აქვთ უფლება წინანდელ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრებისა; სასამართლოს განაჩენით უფლება-აყრილთ; თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფთ.

12. ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს უფლება ეძლევათ განსაზღვრონ იმ პირთა წრე ჩამოგდებული მთავრობებისა (მენშევიკებისა, მუსავატელებისა და დაშნაკებისა) და მათ თანამდებობის პირთა შედგენილობიდან, რომელთაც უნდა ჩამოერთვას საარჩევნო უფლება.

13. საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების ძირითადი ნორმების თანახმად, საარჩევნო უფლება არ შეიძლება ჩამოერთვას:

ა) მიწის-მუშა გლეხს, რომელიც თავის მეურნეობაში გამოიყენებს ერთი მუდმივი მუშის დაქირავებულ შრომას, განსაკუთრებული პირობების დროს, როგორიც არის: ავადმყოფობა, მობილიზაცია, საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევა, რაც მოითხოვს მეურნეობისაგან ჩამოშორებას და სხვ., მეურნეობის ასეთი მდგომარეობის მთელი ხნის განმავლობაში;

ბ) მიწათმომქმედს, რომელიც სოფლად გაცხოველებული მუშაობის დროს მოკლე ვადით დაიქირავებს არა უმეტეს 2 კაცისა ყანისა და თივის ასაღებად;

გ) შინამრეწველს და ხელოსანს, რომელიც ეწევა შრომითი მეურნეობას დაქირავებული ძალის გამოუყენებლად, ან რომელიც წარმოების პირობების გამო გამოიყენებს ერთი მოზრდილი მუშის ან ორი შეგირდის დაქირავებულ შრომას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) თეთრ არმიაში თავის დროზე მობილიზაციით გაწვეულ მუშას, მშრომელ გლეხს, ყაზახს, შინა-მრეწველს და ხელოსანს.

**შენიშვნა.** თეთრი არმიის ყოფილ ოფიცერთა და მოხელეთაგან და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონური ბანდების ხელმძღვანელთაგან საარჩევნო უფლების სარგებლობა შეუძლიან მხოლოდ იმ პირს, რომლის შესახებაც არსებობს სსრ კავშირისა და ა/კსფსრ-ის შედგენლობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა სათანადო აქტი.

ე) იმ პირს, რომელიც იღებს შრომითი ანაბარისა და სახელმწიფო, კომუნალური და კოოპერატიული სესხის ობლიგაციების პროცენტს, უკეთუ ეს შემოსავალი მისი არსებობის ძირითად წყაროს არ შეადგენს, ან უკეთუ მას საარჩევნო უფლება სხვა საფუძველთა მიხედვით არა აქვს ჩამორთმეული:

ვ) იმ პირს, ვინც განსაკუთრებული მიზეზების გამო ეწევა წვრილ ვაჭრობას, როგორიც არის: შრომისა და ომის ინვალიდი, რომელიც ვაჭრობას ეწევა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების უფასო პატენტით, უმუშევარი მუშა და მოსამსახურე, რომელსაც 1-ლი კატეგორიის პატენტი აქვს, უკეთუ ეს საქმე მათთვის დროებითია;

ზ) იმ პირს, რომელიც დაქირავებით ან რელიგიური საზოგადოების არჩევით ასრულებს რელიგიური კულტის შენობათა და რელიგიური წესების ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ტეხნიკურ სამსახურს, როგორიც არის: დარაჯი, დამლაგებელი, მეზარე, მგალობელი და სხვ., და აგრეთვე სამრევლო საბჭოს წევრი, უკეთუ ამ პირთ საარჩევნო უფლება ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტუციების სხვა მუხლების თანახმად არა აქვთ ჩამორთმეული;

თ) თავისუფალი პროფესიის პირს, რომელიც საზოგადო-სასარგებლო შრომას ეწევა და რომელსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული არა აქვს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტუციების სხვა მუხლების თანახმად;

ი) იმ ოჯახის წევრს, რომელსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტუციებისა და ამა ინსტრუქციის საფუძველზე, არ ჩამოერთმევა საარჩევნო უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მატერიალურად დამოკიდებული არ არის საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთაგან და მის არსებობის წყაროს დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა შეადგენს.

**ჰ. საარჩევნო უფლებათა აღდგენის წესი და იმ მოქალაქეთა საჩივრების განხილვის წესი, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩართმეული აქვთ.**

14. იმ პირთ, რომელთაც, ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტუციების თანახმად, ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება, როგორნიც არიან, მაგალითად, პოლიციისა, საპატიმრო უწყებისა, ჟანდარმთა კორპუსისა და სხვ. ყოფილი მოსამსახურენი (ამა ინსტრუქციის მე-11 მუხ. „კ“ პ.), შეიძლება ცალკე შემთხვევაში აღედგინოთ საარჩევნო უფლება აღნიშნული რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებული დადგენილებით, უკეთუ ეს პირები ამჟამად ნაყოფიერ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევიან და დაამტკიცეს თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

15. ამავე წესით შეიძლება აღედგინოს საარჩევნო უფლება იმ პირს, რომელსაც ეს უფლება ჩამოერთვა, როგორც ექსპლოატატორთა კლასისათვის მიკუთვნებულს (მემამულე, ბურჟუაზია, რელიგიური კულტის მსახური), უკეთუ იგი სამი წლის განმავლობაში მაინც ეწევა ნაყოფიერ და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და დაამტკიცა თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

16. იმ პირს, რომელიც საარჩევნო კომისიის დადგენილებით შეტანილია საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულთა სიაში, შეუძლიან განასაჩივროს ეს დადგენილება ერთი კვირის განმავლობაში სიის გამოქვეყნების ან გამოფენის დღიდან.

17. საჩივარი მოქალაქეთა მიერ წინა მუხლში აღნიშნულ ვადაზე შეიტანება იმ საარჩევნო კომისიაში, რომელმაც სია შეიადგინა.

18. საარჩევნო კომისია, მიიღებს-რა საჩივარს, ვალდებულია, სამი დღის განმავლობაში მისი მიღების დღიდან, გაუგზავნოს იგი თავისი დასკვნით ზემდგომ საარჩევნო კომისიას, რომელმაც აგრეთვე სამი დღის ვადაზე უნდა განიხილოს ეს საჩივარი.

საჩივრის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება მომჩივარს იმ საარჩევნო კომისიის მეშვეობით, რომლის მოქმედების გამოც ეს საჩივარია შეტანილი.

უკეთუ საჩივარი დაკმაყოფილებულ არ იქნა, საარჩევნო კომისია თავის გადაწყვეტილებას სამი დღის განმავლობაში გაუგზავნის ზემდგომ საარჩევნო კომისიას, რომელიც მოქმედებს ზემოაღნიშნული წესისამებრ.

19. საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საკითხს, უზენაესი მმართველობის წესით, გადასწყვეტს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

### 4. საარჩევნო კრება.

20. საბჭოების წევრთა არჩევა მოხდება საარჩევნო კრებაზე.

21. საარჩევნო კრებას მოიწვევს საარჩევნო კომისია ან მისი რწმუნებული. კრების მოწვევისა და არჩევნების დღე და ადგილი უნდა ეცნობოს მოსახლეობას ხუთი დღით ადრე მაინც.

22. ქალაქში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას და საფაბრიკო-საქარხნო ადგილას საარჩევნო კრებები მოეწყობა სამრეწველო ან პროფესიონალურ ერთეულებში (საწარმო, დაწესებულება და პროფესიონალური კავშირი).

ის მოქალაქენი, რომელნიც საწარმოში არ შედიან და პროფესიონალურ კავშირებში დარაზმული არ არიან, როგორც, მაგალითად, შინამრეწველნი, დიასახლისები, მეეტლენი და სხვ., მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში ან დანარჩენ ამომრჩევლებთან ერთად წარმოებით და პროფესიონალურ კრებებზე, ან და ტერიტორიალურ ერთეულებში (რაიონი, უბანი და სხვ.).

სოფლად დიდი სოფელი საბჭოს არჩევნებისათვის შეიძლება დაიყოს საარჩევნო უბნებად; იმ სასოფლო საბჭოს არჩევნები, რომელიც რამდენსამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელს აერთიანებს, მოხდება სოფლობით იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლები შორს არიან ერთი-მეორისაგან და მოსახლობის რიცხვიც საკმარისია სოფლის საბჭოს დეპუტატის ასარჩევად, და შეერთებულ კრებაზე—რამდენიმე სოფლისათვის, როდესაც მათი მოსახლეობა მცირერიცხოვანია და მანძილი სოფლებ შორის დიდი არ არის. ამომრჩეველი—მეხუტორენი და მეოტრუბენი არჩევნებისთვის შეუერთდებიან ახლო-მდებარე სოფელს, რომელიც ასარჩევ სასოფლო საბჭოს რაიონში შედის.

**შენიშვნა.** დიდ სამრეწველო საწარმოში არჩევნების წარმოებისათვის საარჩევნო კრება შეიძლება მოხდეს საწარმოს ცალკე ნაწილებში; ამასთანავე შეიძლება ცალკე კანდიდატთა სიების წარდგენა.

23. საარჩევნო კრებაზე მიიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ.

24. საარჩევნო კრებას გახსნის საარჩევნო კომისიის მიერ საამისოდ რწმუნებამოსილი პირი და წარმართავს სამი კაცის შედგენილობით არჩეული პრეზიდიუმი საარჩევნო კომისიის რწმუნებულის თავმჯდომარეობით.

საარჩევნო კრების გახსნისას თავმჯდომარე ვალდებულია: ა) გააცნოს კრებას არჩევნების წესი; ბ) გამოაქვეყნოს ამომრჩეველთა რიცხვი და არჩევნებზე მოსულთა რიცხვი; გ) გამოაქვეყნოს საარჩევნო კრებამდე და თვით კრების დროსაც მიღებული სიები და სახელი და გვარი ცალკე კანდიდატებისა და აღნიშნოს, თუ ვისგან არის შემოსული ეს სიები.

25. არჩევნებზე ხმის მიცემა მოხდება ან სიების, ან ცალკე კანდიდატურების მიხედვით, თვით საარჩევნო კრების დადგენილებისამებრ.

**შენიშვნა 1.** საარჩევნო კომისიას და მის რწმუნებულს უფლება არა აქვს თითონ დაასახელოს კანდიდატები ან წარუდგინოს ამომრჩევლებს კანდიდატთა სიები.

**შენიშვნა 2.** კანდიდატთა სია ან ცალკე კანდიდატურა შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც საზოგადოებრივი, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციის მიერ, ისე ცალკე მოქალაქეთა მიერ; ეს სია და კანდიდატურა შეიძლება წარდგენილ იქნეს თვით საარჩევნო კრებაზე ან გამოქვეყნდეს საარჩევნო კრებამდე ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ან გამოკიდვით. სიებით ხმის მიცემა არ სპობს სიაში მოთავსებული ცალკე კანდიდატების ჩამოცილების შესაძლებლობას.

26. არჩევნები სწარმოებს ხმის ახდილად მიცემით.

27. საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლება ის პირი, ვინც ხმის მიცემის დროს მიიღო ხმისმიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმის უმეტესობა.

28. თვითეული საარჩევნო კრება, დეპუტატების გარდა, ცალკე აარჩევს კანდიდატებს—საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული რაოდენობით და ფარგლებში.

29. საარჩევნო კრების პრეზიდიუმი შეადგენს ოქმს საარჩევნო კრების მსვლელობის შესახებ და ხელს მოაწერს მას.

30. ყოველი განცხადება და საჩივარი არჩევნების წარმოების შესახებ, წერილობითი ან სიტყვიერი ფორმით, წარედგინება სათანადო საარჩევნო კომი-

სიას შვიდი დღის განმავლობაში არჩევნების დამთავრების მომენტიდან; კომისია ვალდებულია ეს განცხადება თუ საჩივარი თავისი განმარტებით სამი დღის განმავლობაში გაუგზავნოს ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

ზემდგომი საარჩევნო კომისია ვალდებულია განიხილოს ეს საჩივარი და განცხადება ერთი კვირის განმავლობაში მათი მიღების დღიდან.

31. მუშაობის დამთავრების შემდეგ, საარჩევნო კომისიები ყველა საარჩევნო მასალას ჩააბარებენ სათანადო საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს.

32. უკეთუ არჩევნები გაუქმებულ იქნა, ახალი არჩევნები მოხდება ამა ინსტრუქციით დადგენილი წესისამებრ.

33. ახალი არჩევნების წარმოებისათვის დაინიშნება სათანადო საარჩევნო კომისიის ახალი შედგენილობა.

34. არჩევნების გაუქმების საბაბად ჩაითვლება სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევა და აგრეთვე ამა ინსტრუქციისა და ა/კსფრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ინსტრუქციის დარღვევა; ამასთანავე, არჩევნების გაუქმება გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის ან ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციით, ან ამომრჩეველთა კრებაზე გამოცხადებით.

35. არჩევნების გაუქმება მოხდება სრულად—საბჭოს წევრთა მთელი შედგენილობის მიმართ ან ნაწილობრივ—საბჭოს ცალკე წევრთა მიმართ.

### 5. საბჭოთა ყრილობის მოწვევა.

36. საბჭოთა ყრილობას მოიწვევს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ.

37. ყრილობის არჩევნების სისწორისა და დეპუტატების რწმუნებულებათა შესამოწმებლად—საბჭოთა ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიას.

38. საბჭოთა ყრილობა, სამანდატო კომისიის მოხსენების მიხედვით, გამოიტანს დადგენილებას ყრილობისათვის წარმოებული არჩევნების სისწორისა და დელეგატების უფლებამოსილობის შესახებ.

### 6. საბჭოთა არჩევნების იმ ინსტრუქციების შესახებ, რაც გამოიცემა ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მიერ.

ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ ამა ინსტრუქციის განსავითარებლად, მასში აღნიშნული დირექტივების მიხედვით, გამოსცენ თავისი ინსტრუქციები საბჭოთა არჩევნების შესახებ და შეიტანონ მათში ესა თუ ის დამატება და ცვლილება ადგილობრივი ყოფაცხოვრების პირობების მიხედვით, როგორიც არის: მომთაბარე ხასიათი შრომითი მეურნეობისა, მესაქონლეობა და სხვ.

ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გამოცემული საარჩევნო ინსტრუქციები ეცნობება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

40. ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ შეიტანონ დამატებანი ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციაში ყოფაცხოვრების თავისებურებასთან და სხვა ადგილობრივ პირობებთან დაკავშირებით, ხოლო ეს დამატებანი წინასწარ დამტკიცებულ უნდა იქნენ ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ და ამავე დროს მათ შესახებ უნდა ეცნობოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

**805. ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის სექტემბრის 28-ს დამტკიცებული საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის (კანონთა კრებ. 1926 წ. № 66, მუხ. 500 და 501) საფუძველზე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 21. ტფილისი-სასახლე.

# დებულება ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესახებ

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან მოეწყობა ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი შედგენილობით: სამი წევრი ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა, რომელთაგან ერთ-ერთს ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცებს; ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წარმომად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენელნი (სამი) და თითო წარმომადგენელი სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა, ამიერკავკასიის ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიისა და ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოსი.

2. ამიერკავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეკისრება:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს საარჩევნო კამპანიების წარმოებას ა/კსფსრ-ში;

ბ) დააწესოს მთლად ა/კსფსრ-სათვის ერთნაირი ფორმები საარჩევნო კამპანიისა, ბლანკებისა და საარჩევნო უწყებათა აღნუსხვისა და აგრეთვე ფორმები სათანადო ანგარიშგებისა და ინსტრუქციებისა;

გ) შეიმუშაოს და გაუგზავნოს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს კითხვარი დაწვრილებითი ანგარიშის შესადგენად და გამოსცეს ცირკულიარები და ინსტრუქციები არჩევნების წარმოებისათვის; განმარტოს ის საკითხები, რაც ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საარჩევნო კამპანიის წარმოების დროს აღიძვრის;

დ) ინსტრუქტიობა გაუწიოს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ცენტრალური საარჩევნო კომისიების მოქმედებას და შეათანხმოს ეს მოქმედება;

ე) წარუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ანგარიში ა/კსფსრ-ში არჩევნების მსვლელობის შესახებ საარჩევნო კამპანიის გამოცდილების აღნუსხვით.

3. დაკისრებული მოვალეობის განსახორციელებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება ეძლევა:

ა) მისცეს ხოლმე დავალება საარჩევნო კამპანიის საკითხების გამო, როგორც ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს, ისე ა/კსფსრ-ის ყველა ცენტრალურ ორგანოს ამ უკანასკნელის კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) მოსთხოოს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს პერიოდული ანგარიშები მათი მუშაობის შესახებ;

გ) დაბეჭდოს და გამოსცეს ხოლმე მასალა, წიგნები და ბიულეტენები საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;

დ) მოაწყოს ხოლმე ქვე-კომისიები და შეიყვანოს მათ შედგენილობაში იმ უწყებათა წარმომადგენელნი, რომელნიც კომისიის წევრებად არ არიან.

4. ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისია თავისი მოქმედებისათვის ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის აპარატს გამოიყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

**806. საბჭოების, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღნუსხვის ფორმებისა და ამომრჩეველთა აღნუსხვის სიების ფორმების შესახებ.**

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღნუსხვის ფორმებისა და ამომრჩეველთა აღნუსხვის სიების ფორმების შესახებ 1926 წლის ნოემბრის 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. სავალდებულოდ იქნეს ცნობილი ყველა სათანადო საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტისათვის საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და შედეგების აღსანუსხავად საარჩევნო საქმისწარმოებისა და სტატისტიკური და საინფორმაციო ანგარიშგების შემდეგი ფორმები: ამომრჩეველთა სახელობითი სიები ქალაქისა და სოფლისათვის; სახელობითი სიები საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთათვის; საარჩევნო კრებების ოქმები ქალაქისა და სოფლისათვის; სახელობითი სიები სოფლის საბჭოში და სათემო, საუბნო და სადაირო აღმასრულებელ კომიტეტებში არჩეულთათვის; სახელობითი სიები საქალაქო საბჭოებისა, მათი პრეზიდიუმებისა და აღმასრულებელი კომიტეტების წევრებად არჩეულთათვის; სახელობითი სიები სამაზრო, საოლქო და რესპუბლიკანური საბჭოთა ყრილობებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების წევრებად არჩეულთათვის; ჯუმლობითი ცხრილი სოფლად წარმოებული არჩევნებისა, სოფლის ხელისუფლების ორგანოების შედგენილობისა და აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და ავტონომიური ოლქებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობის შესახებ; ჯუმლობითი ცხრილი საქალაქო საბჭოების არჩევნებისა და ხელისუფლების საქალაქო ორგანოების შედგენილობის შესახებ.

**შენიშვნა.** 1-ლ მუხლში აღნიშნული საარჩევნო ანგარიშგების ფორმების შევსების დროს რაიმე შემოკლება ან ერთი ცნობების სხვა ცნობებით შეცვლა არ შეიძლება. სარჩევნო ანგარიშგების გაფართოება შეიძლება მხოლოდ ზემოაღნიშნული ფორმების დამატების სახით.

2. საარჩევნო ანგარიშგების შემუშავება და შედგენა დაევალება რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სამაზრო და საუბნო-სადაირო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე საქალაქო, სასოფლო და სათემო საბჭოებს—კუთვნილებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მე-2 მუხლში გათვალისწინებული წერილობითი ანგარიშგების რესპუბლიკანურ ზემდგომ აღმასრულებელ კომიტეტებში წარდგენის ვადები დაწესებულ იქნება ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

4. რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და შედეგის ანგარიშს წარუდგენენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს შემდეგი წესით:

ა) ორკვირეული ბიულეტენი საარჩევნო კამპანიის თვითეული გასული ორი კვირისათვის წარიდგინება სამი დღის განმავლობაში და შედგენილ იქნება რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული სადეპეშო ცნობების თანახმად;

ბ) რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ყოველთვიური წერილობითი მოხსენებანი, თანახმად ამასთანავე დართული საინფორმაციო ანგარიშგების სქემისა, თვითეული გასული თვისათვის წარდგენილ უნდა იქნეს ათი დღის განმავლობაში;

გ) დამთავრებული საარჩევნო კამპანიის წინასწარი ჯამი, შეჯუმლილი სტატისტიკური ბარათების მიხედვით, წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა სათანადო რესპუბლიკაში საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ;

დ) საბოლოო წერილობითი ანგარიში და დასკვნა საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და შედეგის შესახებ ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში წარდგენილ უნდა იქნეს ორი თვის გასვლისას რესპუბლიკაში საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ

5. ამა დადგენილებით გაუქმებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების შესახებ წინად გამოცემული ყველა დადგენილება *).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. დეკემბრის 21. ტფილისი-სასახლე.

---

*) ამ №-ში აღნიშნული სამი დადგენილება გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1368 №-ში 1926 წლის დეკემბრის 31-ს.

ფორმა № 1.

შედგენილია: წელი ......
თვე ......
რიცხვი ......

ეს სია შედგენილ იქნება სოფლის (თემის) საბჭოს მიერ, როგორც მუდმივი.

გამოყენებულ უნდა იქნეს საარჩევნო უწყებათა დასაგზავნად და საარჩევნო უფლების-მქონე პირთა შესახებ ცნობების შესადგენად.

ყოველწლიურად არჩევნების წინ შემოწმებულ უნდა იქნეს საარჩევნო კომისიის მიერ.

# სახელობითი სია

...... ამომრჩევლებისა

(უნდა აღინიშნოს სოფელი ან თემი, სასოფლო ან სათემო საბჭო, უბანი ან დაირა, მაზრა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა).

| №№ რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | დაბადების წელი | სქესი | სოც. მდგომარეობა (გლეხი, ბოგანოგლეხი, მუშა, შინამრეწველი, ხელოსანი, მოსამსახურე, აგრონომი, მიწისმზომელი, მასწავლებელი, ექიმი, მოსამართლე და სხვ.) | დრო საარჩევნო სიიდან გამორიცხვისა და გამორიცხვის მიზეზი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 2.

შედგენილია: წელი ..................

თვე ..................

რიცხვი ..................

ეს სია შედგენილ იქნება ქალაქის საბჭოს მიერ ან საუბნო-სადაირო აღმასკომის მიერ თითოეული საარჩევნო უბნისათვის ცალკე.

გამოყენებულ უნდა იქნეს საარჩევნო უწყებათა დასაგზავნად და საარჩევნო უფლების-მქონე პირთა შესახებ ცნობების შესადგენად.

ყოველწლიურად შემოწმებულ უნდა იქნეს საარჩევნო კომისიის მიერ.

# სახელობითი სია

..................ამომრჩევლებისა

(უნდა აღინიშნოს საარჩევნო უბანი, ქალაქი, მაზრა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა).

| №№ რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | დაბადების წელი | სქესი | სოც. მდგომარეობა (გლეხი, მუშა, მოსამსახურე, შინამრეწველი, ხელოსანი, მოსწავლე, თავისუფალი პროფესიის პირი, დიასახლისი და სხვ.) | დრო საარჩევნო სიიდან გამორიცხვისა და გამორიცხვის მიზეზი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 3.

შედგენილია: წელი ............
თვე ............
რიცხვი ............

ეს სია შედგენილ იქნება სოფლის (თემის) ან ქალაქის საბჭოს მიერ, როგორც მუდმივი.

გამოყენებულ უნდა იქნეს არჩევნების დროს საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიების შესადგენად, მათვის უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების დასაგზავნად და უფლება-ჩამორთმეულთა შესახებ ცნობების გასაცემად.

საარჩევნო კომისია ყოველწლიურად შეამოწმებს სიებს, შეიტანს მასში დასაბუთებულ ცვლილებებს და გაუკეთებს მას სათანადო წარწერას შემოწმების შესახებ.

# სახელობითი სია

საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა

(უნდა აღინიშნოს, სოფელი ან თემი, სასოფლო ან სათემო საბჭო, უბანი ან დაირა, მაზრა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა).

| №№ რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | საარჩევნო უფლების ჩამორთმევის მიზეზი: 1) ის პირნი, რომელნიც სცხოვრობენ არა-შრომითი შემოსავლით. 2) სამღვდელოება. 3) ყოფ. პოლიც. და ჟანდარმერიის აგენტები და სხვა პირნი, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება სსრკ ცაკისა, ა/კ. ცაკისა და სათანადო რესპ. ინსტრუქც. თანახმად. | რა დროიდან აქვს ჩამორთმეული საარჩევნო უფლება | დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოერთვას საარჩევნო უფლება. | დრო საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულთა სიიდან გამორიცხვისა. | მიზეზი სიიდან გამორიცხვისა: უფლების აღდგენა, სიკვდილი, სხვაგან წასვლა, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის დამთავრება, განკურნება | დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის პირი გამორიცხულია საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიიდან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 4.

გამოკიდულ უნდა იქნეს თვალსაჩინო ადგილას 20 დღით ადრე მაინც არჩევნების დაწყებამდე.

სოფლად წაკითხულ უნდა იქნეს ყრილობაზე.

შედგენილ უნდა იქნეს მთლად ქალაქისათვის ან სოფლისათვის.

# სახელობითი სია

............................................................ საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა

(უნდა აღინიშნოს სოფელი, დასახლებული ადგილი, სასოფლო საბჭო, სათემო საბჭო, უბანი, დაირა. მაზრა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა).

| № № რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | მიზეზი საარჩევნო უფლების ჩამორთმევისა:<br>1. ის პირნი, რომელნიც სცხოვრობენ არა-შრომითი შემოსავლით.<br>2. სამღვდელოება.<br>3. ყოფ. პოლიციისა და ჟანდარმერიის აგენტები და სხვა პირნი, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება თანახმად ინსტრუქციისა.<br>4. სულით ავადმყოფნი და შეურვეობაში მყოფნი.<br>5. ის ოჯახის წევრები, რომელნიც იმყოფებიან საარჩევნო უფლება-ჩამორთმეული პირის რჩენაზე. | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

<u>ფორმა № 5.</u>

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საარჩევნო უწყების ნომერი უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ამომრჩევლის ნომერს ამომრჩეველთა სახელობითი სიაში, თუ-კი ასეთი სია შედგენილია.

გაეგზავნება ყველა ამომრჩეველს 5 დღით ადრე მაინც საარჩევნო კრებამდე.

# საარჩევნო უწყება

მოქალაქე ............................................................
(გვარი, სახელი და მამის სახელი).

მისამართი ............................................................

საარჩევნო კომისია გიწვევთ თქვენ გამოცხადდეთ 192 წლის ..........

.......... „ ..... " „ ..... „ საათისათვის ..........
(მისამართი)

შენობაში, .......... საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

საარჩევნო კრებაზე პირადად გამოცხადებისას ამომრჩეველი ამ უწყებას მდივანს ჩააბარებს

**საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე**

---

საარჩევნო უწყება № .......... მივიღე ..........
(მიმღების ხელმოწერა)

რიცხვი .......... თვე .......... 192 წ.

(ეს ბარათი უნდა დაებრუნოს საარჩევნო კომისიას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 6.

შედგენილ იქნება 2 ცალად: 1 ცალი გაეგზავნება სასოფლო საბჭოს, ხოლო მეორე—სოფლის საარჩევნო კომისიას.

# ოქმი

. . . . . უბნის. სოფ. . . . . . მოქალაქეთა საარჩევნო კრებისა . . . .

სასოფლო საბჭოს, . . . . . უბნის . . . . . დაირის საბჭოს არჩევის შესახებ.

192 წ. . . . . . . . . . . . „ . . . "

საარჩევნო რაიონში შემავალი დასახლებული ადგილები:

**სახელწოდება. მცხოვრებთა რიცხვი:**

1. . . . . . . . . . . . . . . . . .
2. . . . . . . . . . . . . . . . . .
3. . . . . . . . . . . . . . . . . .

სულ . . . . .

რაიონში / სოფელში სულ . . . . ამომრჩეველია.

საარჩევნო კრებაზე გამოცხადდა . . . კაცი

თავმჯდომარეობდა: საარჩევნო კომისიის რწმუნებული . . . . . .

კრების პრეზიდიუმის წევრები { . . . . . . / . . . . . . / . . . . . .

მდივანი . . . . . . .

**დღის წესრიგი:**

1. სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრების არჩევა.
2. სასოფლო საბჭოს წევრთა კანდიდატების არჩევა.
3. სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.
4. სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატების არჩევა.
5. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

კრება დაიწყო . . . . საათზე; დამთავრდა . . . . საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-6 №-ის ფორმის გაგრძელება.

| მ ო ი ს მ ი ნ ე ს: | დ ა ა დ გ ი ნ ე ს: |
|---|---|
| გამოქვეყნება საარჩ. კანონების მუხლებისა საარჩევნო ინსტრუქციის მიხედვით. | |
| სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრთა არჩევნები. | |
| დასახელებულ იქნენ შემდეგი კანდიდატები: | |
| მიცემული ხმების რიცხვი: | |
| მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . . | |
| საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ<br>. . . . . . . . . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . . მიერ<br>. . . . . . . . . . . . . . . .<br>დასახელებულ იქნენ თვით საარჩევნო კრებაზე . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . . . | სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრებად არჩეულ არიან:<br>1. . . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . . .<br>4. . . . . . . . . . . . .<br>და სხვ. |
| სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრთა კანდიდატების არჩევნები. | |
| დასახელებულ იქნენ შემდეგი კანდიდატები: | |
| მიცემული ხმების რიცხვი: | |
| მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . . | |
| საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ<br>. . . . . . . . . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . . მიერ<br>. . . . . . . . . . . . . . . .<br>დასახელებულ იქნენ თვით საარჩევნო კრებაზე . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . . . | საბჭოს წევრთა კანდიდატებად არჩეულ არიან:<br>1. . . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . . .<br>4. . . . . . . . . . . . .<br>და სხვ. |

მე-6 №-ის ფორმის გაგრძელება.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები:

დასახელებულ იქნენ შემდეგი კანდიდატები:

მიცემული ხმების რიცხვი:
მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . .

საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ
. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . მიერ
. . . . . . . . . . . . . .

დასახელებულ იქნენ თვით საარჩევნო კრებაზე . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .

სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატების არჩევნები:

დასახელებულ იქნენ შემდეგი კანდიდატები:

მიცემული ხმების რიცხვი:
მომრხე: . . . წინააღმდეგი: . . .

საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ
. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . მიერ
. . . . . . . . . . . . . .

დასახელებულ იქნენ თვით საარჩევნო კრებაზე . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ არიან:
1. . . . . . . . . . . .
2. . . . . . . . . . . .
3. . . . . . . . . . . .
4. . . . . . . . . . . .
და სხვ.

სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატებად არჩეულ არიან:
1. . . . . . . . . . . .
2. . . . . . . . . . . .
3. . . . . . . . . . . .
4. . . . . . . . . . . .
და სხვ.

**თავმჯდომარე**

**პრეზიდიუმის წევრები**

**მდივანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 7.

# ოქმი

. . . . . . . სასოფლო საბჭოს, სათემო საბჭოს საორგანიზაციო სხდომისა.
192 წ. . . . . . . . . . . „ . . . "

დაესწრნენ: გადამწყვეტი ხმის უფლებით:
საბჭოს წევრები . . . . . . . . . . . .

გადამწყვეტი ხმის უფლებით:
საბჭოს წევრთა კანდიტატები . . . . . . . . . .
. . . . . . . . . .

წინა მოწვევის საბჭოს წევრები . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .

ამას გარდა, . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

(უკეთუ დამსწრეთა რიცხვი დიდია,—სია დართულ უნდა იქნეს ცალკე იმავე ცნობებით; უკეთუ კრებას დაესწრნენ ისეთი პირნი, რომელნიც დაწესებულებისა ან ორგანიზაციის წარმომადგენელნი არ არიან, მათი აღნიშვნა შეიძლება საერთო რიცხვით).

## დღის წესრიგი:

1. საარჩევნო კომისიის ანგარიში.
2. საბჭოს აღმასრულებელ ორგანოთა არჩევა.
3. სოფლებში რწმუნებულების დანიშვნა.
4. დელეგატების არჩევა აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში საუბნო-სადაირო ყრილობისათვის, ხოლო საქართველოს სსრ-ში სამაზრო ყრილობისათვის.
5. . . . . . . . . . . . . . . .

| მოისმინეს: | დაადგინეს: |
|---|---|
| 1. საარჩევნო კომისიის ანგარიში. | 1. . . . . . . . . . . . . |
| 2. საბჭოს აღმასრულებელ ორგანოთა არჩევნები. დასახელებულ იქნენ კანდიდატები თავმჯდომარის თანამდებობაზე: | 2. არჩეულ არიან: თავმჯდომარედ: . . . . . სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრებად: |
| მიცემული ხმების რიცხვი: მომხრე . . . წინააღმდეგი . . . | . . . . . . . . . . . . |
| 1. . . . . . . . . . | . . . . . . . . . . . . |
| 2. . . . . . . . . . | |
| 3. . . . . . . . . . | |

მე-7 №-ის ფორმის გაგრძელება.

| მ ო ი ს მ ი ნ ე ს: | დ ა ა დ გ ი ნ ე ს |
|---|---|
| თემის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა თანამდებობაზე:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . წინააღმდეგი: . . .<br>1. . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . | |
| 3. რწმუნებულების დანიშვნა სოფლებში . .<br>დასახელებულ იქნენ კანდიდატები:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . წინააღმდეგი: . . .<br>1. . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . | 3. სოფლებში რწმუნებულებად არჩეულ არიან:<br>სოფ. . . . . . . . . .<br>ამხ. . . . . . . . . . .<br>სოფ. . . . . . . . . .<br>ამხ. . . . . . . . . . . |
| 4. დელეგატების არჩევა აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში—საუბნო-სადაირო საბჭოთა ყრილობისათვის, ხოლო საქართველოს სსრ-ში—სამაზრო ყრილობისათვის.<br>დასახელებულ იქნენ კანდიდატები:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე . . . წინააღმდეგი . . .<br>1. . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . .<br>და სხვ. | 4. არჩეულ არიან:<br>1. . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . |

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

მ დ ი ვ ა ნ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 8.

# ოქმი

საუბნო-სადაირო საბჭოთა ყრილობისა . . . . . . . . საუბნო-სადაირო . . . . . . . . . . . . . . . მაზრის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
(ოლქისა, ავტონომიური რესპუბლიკისა, რესპუბლიკისა) . . . . . . . . . .
192 წ. . . . . . . . . . . . „ . . "

საუბნო-სადაირო ყრილობისათვის არჩეული დელეგატების საერთო რიცხვიდან „ . . . " კრებას დაესწრო „ . . . " დელეგატი, რომელთა სიაც აქვეა დართული.

თავმჯდომარე: მდივანი:

კრება დაიწყო „ . . " საათზე; დამთავრდა „ . . " საათზე.

## დღის წესრიგი:

1. საუბნო-სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები.
2. ამ აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა კანდიდატების არჩევნები.
3. სარევიზიო კომისიის არჩევნები.
4. ამ სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატების არჩევნები.
5. . . . . . კომისიის წევრთა არჩევნები.
6. მაზრის საბჭოთა ყრილობის დელეგატების არჩევნები.
7. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

| მოისმინეს: | დაადგინეს: |
|---|---|
| 1. საუბნო-სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები.<br><br>. . . . . განკარგულებით აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა საერთო რიცხვი განსაზღვრულია „ . . " კაცით.<br><br>აღმასკომის წევრთა კანდიდატებად დასახელებულ იქნენ შემდეგი პირები:<br><br>მიცემული ხმების რიცხვი:<br><br>მომხრე: . . . წინააღმდეგი: . .<br><br>1. . . . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . . . . | აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად ხმის უმეტესობის მიხედვით არჩეულ არიან შემდეგ რიგზე:<br><br>1. . . . . . . . . . . . .<br><br>და სხვ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-8 №-რის ფორმის გაგრძელება.

| მოისმინეს: | დაადგინეს: |
| --- | --- |
| 2. საუბნო-სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა კანდიდატების არჩევნები.<br>3. საუბნო-სადაირო სარევიზიო კომისიის არჩევნები.<br>4. საუბნო-სადაირო სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატების არჩევნები.<br>5. კომისიის წევრთა არჩევნები . . . . . . | (დასახელებულ უნდა იქნენ კანდიდატები 2—6 პუნქტების მიხედვით ცალ-ცალკე; უნდა აღინიშნოს მიცემული ხმების რიცხვი: მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა; დასახელებულ უნდა იქნენ ხმის უმეტესობის მიხედვით არჩეული პირები რიგზე). |
| 6. მაზრის საბჭოთა ყრილობის დელეგატების არჩევნები წარმომადგენლობის განსაზღვრული ნორმის მიხედვით — 1 დელეგატი მოსახლეობის „ . . “ კაცზე . . . . . უბან-დაირის მოსახლეობის „ . . “ კაცის რაოდენობის მიხედვით ასარჩევია „ . . “ დელეგატი.<br>დასახელებულ იქნენ კანდიდატები:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . .<br>1. . . . . . . . . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . . . . . . . . .<br>და სხვ. | . . . . უბან-დაირიდან მაზრის საბჭოთა ყრილობის დელეგატებად არჩეულ არიან:<br>1. . . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . . .<br>და სხვ. |

თავმჯდომარე

მდივანი

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ფორმა № 9.

# ოქმი

. . . . . . საუბნო-სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო სხდომისა:

192 წ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . „ “

დაესწრნენ გადამწყვეტი ხმის უფლებით: საუბნო-სადაირო აღმასრ. კომიტეტის წევრები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

წინანდელი შედგენილობის საუბნო-სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის წევრები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი . . . . . . . . . . . .

სხვა ამომრჩევლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## დღის წესრიგი

1. თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის (თუ პრეზიდიუმი არის) წევრთა არჩევა.
2. აღმასრ. კომიტეტის წევრთა შორის მოვალეობათა განაწილება.
3. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

| მოისმინეს: | დაადგინეს: |
|---|---|
| 1. თავმჯდომარის არჩევა<br>დასახლებულ იქნენ თავმჯდომარის თანამდებობაზე:<br>მიღებული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . . . .<br>1. . . . . . . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . . . . . . . | თავმჯდომარედ არჩეულ იქნა<br>. . . . . . . . . . . . . . |
| პრეზიდიუმის წევრთა არჩევა<br>(თუ პრეზიდიუმი არის)<br>წევრებად დასახლებულ იქნენ:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . .<br>1. . . . . . . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . . . . . . . | პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ: . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . |
| აღმასრ. კომიტეტის წევრთა შორის მოვალეობათა განაწილება | განაწილება ასეთია: |

თავმჯდომარე

მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმა № 10.

# ოქმი

. . . . . . . . . . ქალაქის საბჭოს საორგანიზაციო სხდომისა.
დაესწრნენ: გადამწყვეტი ხმის უფლებით ქალაქის საბჭოს „ . . . . “წევრი
სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს წევრთა„ . . . . “კანდიდატი
(დამსწრეთა სახელობითი სია აქვეა დართული)

## დღის წესრიგი:

1. საარჩევნო კომისიის ანგარიში.
2. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.
3. საბჭოს აღმასრულებელ ორგანოთა არჩევა.
4. საბჭოთა ყრილობის დელეგატების არჩევა.
5. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

| მოისმინეს: | დაადგინეს: |
| --- | --- |
| 1. საარჩევნო კომისიის ანგარიში. | 1. . . . . . . . . . . . . |
| 2. თავმჯდომარის არჩევა.<br>დასახელებულ იქნენ:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მიმხრე: . . წინააღმდეგი: . . .<br>1. . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . . | 2. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა: |
| 3. ქალაქის საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევა.<br>დასახელებულ იქნენ შემდეგი პირები:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . წინააღმდეგი: . . .<br>1. . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . . | 3. წევრებად არჩეულ იქნენ: |
| 4. დასახელებულ იქნენ პრეზიდიუმის ან აღმასრულებელი კომიტეტის (თუ კომიტეტი არის) წევრთა კანდიდატებად:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . წინააღმდეგი: . . .<br>1. . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . . | 4. კანდიდატებად არჩეულ იქნენ: |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-10 №-რის ფორმის გაგრძელება.

| მოისმინეს: | დაადგინეს: |
|---|---|
| 5. სამაზრო საბჭოთა ყრილობის დელეგატების არჩევა.<br>დელეგატებად დასახელებულ იქნენ:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . წინააღმდეგი: . . .<br>1. . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . . | 5. სამაზრო საბჭოთა ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნენ: |
| 6. საბჭოთა ყრილობის დელეგატების არჩევა:<br>დელეგატებად დასახელებულ იქნენ:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . წინააღმდეგი: . . .<br>1. . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . . | 6. რესპუბლიკანური საბჭოთა ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნენ: |

თავმჯდომარე

მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 11.

შედგენილ უნდა იქნეს ორ ცალად. ერთი ცალი გაეგზავნება საქალაქო საბჭოს, მეორე—სარაიონო ან საერთო-საქალაქო საარჩევნო კომისიას.

# ოქმი

მოქალაქეთა საარჩევნო კრებისა (უნდა აღინიშნოს რა უბანია ან რა საწარმო) . . . . . . . . ქალაქის საბჭოს არჩევის შესახებ . . . . . . . .

პროფკავშირში . . . . . . . . . . . .

საარჩევნო კრებას სულ დაესწრო . . . . . . . კაცი.

სულ უბანში ამომრჩეველი, რომელსაც ინსტრუქციის თანახმად საარჩევნო უფლება აქვს, . . . . . . კაცია.

თავმჯდომარეობდა: . . . . . . .

საარჩევნო კომისიის რწმუნებული: . . . . . .

პრეზიდიუმის წევრები: . . . . . . .

. . . . . . .

. . . . . . .

მდივანი

დღის წესრიგი:

1. ქალაქის საბჭოს წევრთა არჩევა.
2. ქალაქის საბჭოს წევრთა კანდიდატების არჩევა.

კრება დაიწყო . . . . . საათზე; დამთავრდა . . . . . საათზე.

| მოისმინეს: | დაადგინეს: |
|---|---|
| კანონის მუხლების გამოქვეყნება საარჩევნო ინსტრუქციის თანახმად.<br>ქალაქის საბჭოს წევრთა არჩევა.<br>წევრებად დასახელებულ იქნენ:<br>მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . .<br>საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ . . .<br>. . . . . . . . . . . . . . | ქალაქის საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ (ხმის უმეტესობის მიხედვით ამ რიგზე):<br>1. . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . .<br>4. . . . . . . . . . . .<br>5. . . . . . . . . . . . |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 №-რის ფორმის გაგრძელება.

| მ ო ი ს მ ი ნე ს: | დ ა ა დ გ ი ნ ე ს: |
| --- | --- |
| . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . მიერ დასახელებულია თვით კრებაზე . . . . . ქალაქის საბჭოს წევრთა კანდიდატების არჩევა. კანდიდატებად დასახელებულ იქნენ: მიცემული ხმების რიცხვი: მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . . საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . მიერ დასახელებულია თვით კრებაზე . . . . . | ქალაქის საბჭოს წევრთა კანდიდატებად არჩეულ იქნენ: 1. . . . . . . . . . . . . 2. . . . . . . . . . . . . 3. . . . . . . . . . . . . და სხვ.. |

თავმჯდომარე

პრეზიდიუმის წევრები

მდივანი

ფორმა № 12.

# სახელობითი სია

სასოფლო საბჭოს, სათემო საბჭოს და მათი სარევიზიო კომისიების წევრებად და კანდიდატებად და აგრეთვე საუბნო-სადაირო საბჭოთა ყრილობის დელეგატებად და სათემო აღმასრ. კომიტეტისა, საუბნო-სადაირო აღმასრ. კომიტეტისა, მათი პრეზიდიუმებისა და სარევიზიო კომისიების წევრებად არჩეულ პირთათვის.

| №№ რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | რა თანამდებობაზეა არჩეული (თავმჯდომარედ, თავმჯდ. მოადგილედ, მდივნად, სოფლის საბჭოს ან თემის აღმასკომის და სოფლის საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. საუბნო-სადაირო ყრილობის დელეგატად და ამ აღმასკომებისა და სარევიზიო კომისიების წევრად) | სქესი | ასაკი | ეროვნება | განათლება (წერა-კითხვის უცოდინარი, წერა-კითხვის მცირე მცოდნე, დაბალი, უმაღლესი, საშუალო) | სოციალური მდგომარეობა (გლეხი, წითელარმიელი, მუშა, ბოგანო-გლეხი, მოჯამაგირე და სხვ. მუშები, შინამრეწველი, ხელოსანი, მოსამსახურე, სოფლის მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი) | სასოფ.-სამეურნეო გადასახადის თანხის რაოდენობა თვითეულ მჰამელზე მეურნეობაში | იყო თუ არა წითელ არმიაში | მერამდენეჯერ ირჩევა | პარტიულობა (კ. პ. (ბ) წევრი ან კანდიდატი, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტ. კავშირის წევრი ან კანდიდატი, უპარტიო) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |



შეკ. 806

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ, ამა დადგენილებისა და საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის საფუძველზე, სათანადო ცვლილებები მათ მიერ საბჭოთა არჩევნებისა და ხელახალი არჩევნების შესახებ გამოცემულ ინსტრუქციებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. დეკემბრის 21. ტფილისი-სასახლე.

# ინსტრუქცია საბჭოთა არჩევნების შესახებ

1926 წლის საბჭოთა არჩევნებმა, რაც სამოქალაქო ომის დამთავრებისა და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, პირველი ფართოდ გაშლილი საარჩევნო კამპანია იყო და რამაც ამომრჩეველთა დიდი აქტიურობა გამოაშკარავა—მიზნად დაგვისახა, რომ, ერთის მხრით, კიდევ უფრო ენერგიულად ჩავაბათ საბჭოებში მშრომელთა ფართო მასსა და, მეორეს მხრით, დავიცვათ ეს საბჭოები, რათა მათში არ მოხვდნენ ექსპლოატატორი ელემენტები. ამასთანავე, ის უაღრესი მნიშვნელობის მიზანი, რათა საარჩევნო პრაქტიკა რაც შეიძლება მეტად იყოს შეთანხმებული ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში, მათი კონსტიტუციების (ძირითადი კანონის) საფუძველზე, თანდათან უპირველეს და აუცილებელ მიზნად იქცევა.

ამიტომ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. სექტემბრის 28-ის თარიღის დადგენილებისა (კან. კრებ. 1926 წ. № 66, მუხ. 500 და 501) და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8, 9, 16 და 17 მუხლის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ამ ჟამად საბჭოთა არჩევნების შესახებ მომქმედი ინსტრუქციის შესაცვლელად, აწვდის ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს სახელმძღვანელოდ, ა/კსფსრ-ის საბჭოთა ყრილობაზე საბჭოების წარმომადგენელთა მომავალი არჩევნებისათვის, შემდეგ ინსტრუქციას ქალაქისა, სოფლისა და თემის საბჭოების არჩევნებისა და რესპუბლიკანური საბჭოთა ყრილობებისა და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და საოლქო, სამაზრო, საუბნო და სადაირო საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

### 1. საარჩევნო კომისიები.

1. საარჩევნო კამპანიისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, მათი პრეზიდიუმის დადგენილებით, მოეწყობა ცენტრალური საარჩევნო კომისიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური საარჩევნო კომისიების წევრთა რიცხვს და აგრეთვე მათ შედგენილობას განსაზღვრავენ სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები; ამასთანავე ამ კომისიების შედგენილობაში უნდა შედიოდენ საწარმოსთან ან სოფლის მეურნეობასთან უშუალოდ დაკავშირებულ მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები და აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლები.

2. ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საარჩევნო კამპანიისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევის გარდა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს დაეკისრებათ აგრეთვე საქალაქო და სამაზრო საარჩევნო კომისიებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საარჩევნო კომისიების მოქმედების გამო შეტანილი საჩივრების განხილვა.

3. ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე საარჩევნო კამპანიისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, ამ უკანასკნელის დადგენილებით, მოეწყობა საარჩევნო კომისია, სადაც შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, დაამტკიცებს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ორი წარმომადგენელი სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, თითო წარმომადგენელი: სათანადო პროფესიონალურ კავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მუშა-ქალთა განყოფილებისა, ქალაქის საბჭოს, ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიისა და ორი წარმომადგენალი გლეხთა კომიტეტებისა.

4. სასოფლო, სათემო და საქალაქო საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების თავისდროზე და გეგმაშეწონილად წარმოებისათვის—ადგილობრივ მოეწყობა საარჩევნო კომისიები: სამაზრო, საქალაქო, სასოფლო საუბნო, სადაირო და სათემო.

5. სამაზრო საარჩევნო კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი (ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მაზრებში, სათანადო რესპუბლიკანური და საოლქო საარჩევნო კომისიების წარდგენით,—ამ რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმი—კუთვნილებისამებრ), თითო წარმომადგენელი: სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა, ადგილობრივი საქალაქო საბჭოსი, პროფესიონალური კავშირების ბიუროსი, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მუშა-ქალთა განყოფილებისა, ეროვნულ უმცირესობათა და ორი წარმომადგენელი გლეხთა კომიტეტისა.

6. საუბნო-სადაირო საარჩევნო კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ორი წარმომადგენელი საუბნო-სადაირო აღმასრულებელი კომიტეტისა, თითო წარმომადგენელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი საბჭოსი, პროფესიონალურ კავშირთა ბიუროსი, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, გლეხ-ქალთა დელეგატების კრებისა, ეროვნულ უმცირესობათა და ორი წარმომადგენელი გლეხთა კომიტეტებისა.

7. სასოფლო და სათემო საარჩევნო კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს საუბნო-სადაირო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, კუთვნილებისამებრ, ორი წარმომადგენელი სათანადო საბჭოსი, თითო წარმომადგენელი: პროფესიონალური კავშირისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, გლეხ-ქალთა დელეგატების კრებისა და ორი წარმომადგენელი გლეხთა კომიტეტებისა.

8. საქალაქო საარჩევნო კომისიებში შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ორი წარმომადგენელი სათანადო საქალაქო საბჭოსი, თითო წარმომადგენელი: პროფესიონალური კავშირებისა, წითელი არმიისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, მუშა-ქალთა წარმომადგენელი, რომელიც აირჩევა მუშა-ქალთა საერთო-საქალაქო სადელეგატო კრებაზე, და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი.

**შენიშვნა.** ქალაქის საარჩევნო კომისიას, ეგრედწოდებულ, დაურაზმელ ამომრჩეველთა აღსანუსხავად—შეუძლიან მოაწყოს განსაკუთრებული დამხმარე კომისიები რაიონებისა, კვარტალებისა და ცალკე დიდ სახლთმფლობელობისათვის.

9. საარჩევნო კომისიების უფლება-მოვალეობას შეადგენს:

ა) სათანადო ტერიტორიაზე არჩევნების კანონიერი და თავისდროზე წარმოებისათვის მეთვალყურეობის გაწევა;

ბ) ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისა და მათ რწმუნებულთა მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

გ) სათანადო აღმასრულებელ კომიტეტში არჩევნების მსვლელობის ცნობებისა და ამ საგანზე ქონებული ყველა მასალის წარდგენა;

დ) აღმასრულებელი კომიტეტებისათვის სათანადო მოხსენების წარდგენა ქვემდგომი საარჩევნო კომისიების დაშლისა, მათი ცალკე წევრების ჩამოცილებისა და აგრეთვე მათი დადგენილებების გაუქმების შესახებ;

ე) ქმემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან ანგარიშის მოთხოვნა წარმოებული მუშაობის შესახებ;

ვ) ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მოქმედების გამო მღებული პროტესტებისა და საჩივრების განხილვა;

ზ) რწმუნებულთა დანიშვნა საარჩევნო კრებებზე თავმჯდომარეობისათვის;

თ) საარჩევნო უწყებათა დაგზავნა;

ი) ამომრჩეველთა სიების შედგენა;

კ) შედგენა იმ პირთა სიებისა, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2. განსაზღვრა ამომრჩეველთა წრისა და იმ პირთა წრისა, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ.

10. როგორც ამომრჩეველთა, ისე საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიების შედგენისა და შემოწმების დროს, საარჩევნო კომისიებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების ძალით საარჩევნო უფლებას მოკლებულ არიან ცალკე პირები და მოსახლეობის ცალკე ჯგუფები, სახელდობრ:

ა) ის პირი, რომელიც მოგების მიღების მიზნით იყენებდა ან დღეს იყენებს დაქირავებულ შრომას;

ბ) ის პირი, რომელიც ცხოვრობდა ან დღეს ცხოვრობს არასაშრომო შემოსავლით და აგრეთვე ეწეოდა ან ეხლა ეწევა ვაჭრობას;

გ) ის პირი, რომელიც თავისი კლასობრივი მდგომარეობით ან წარსული მოღვაწეობით არჩევნების მომენტში მიეკუთვნება საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა კატეგორიას, თანახმად საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების სათანადო მუხლებისა.

11. მოქალაქეთა ცალკე კატეგორიებიდან საარჩევნო უფლების სარგებლობა არ შეუძლიანთ:

ა) იმ მიწათმოქმედთ, რომელნიც იყენებენ სასეზონო ან მუდმივ დაქირავებულ შრომას იმდენად, რომ ამით მათი მეურნეობის გაფართოება სცილდება საშრომო მეურნეობის ფარგლებს.

**შენიშვნა.** ასეთ შემთხვევაში შრომის მეურნეობის ძირითად ნიშნად ჩაითვლება დაქირავებული შრომის დამხმარე ხასიათი და მეურნეობაში მყოფი შრომის უნარიანი წევრების აუცილებელი მონაწილეობა ყოველდღიურ მუშაობაში.

ბ) იმ მიწათმოქმედთ, რომელთაც სამიწათმოქმედო მეურნეობის გარდა, აქვთ სასარეწაო და სამრეწველო დაწესებულება და საწარმო (წისქვილი, საცეხველი და სხვ.), რაც მოქმედებს მუდმივი ან სასეზონო დაქირავებული შრომის გამოყენებით;

გ) იმ პირთ, რომელნიც აკაბალებენ მოსახლეობას მისთვის მოსახმარად სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, მუშა-საქონლისა და სხვ. სისტემატიურად მიწოდებით ან რომელნიც მუდმივ აწვდიან მოსახლეობას კრედიტს (საქონელს ან ფულს) საკაბალო პირობებში;

დ) შინა-მრეწველთ და ხელოსანთ, რომელნიც მუდმივად მიმართავენ მუშახელის დაქირავებას;

ე) სამრეწველო ტიპის საწარმოს მფლობელთ, რომელნიც ეწევიან მოსახლეობის ექსპლოატაციას ამა თუ იმ სამუშაოს სახლში შესასრულებლად მიცემით;

ვ) კერძო ვაჭარებს და ჩარჩებს;

ზ) კერძო სავაჭრო და საკომერციო შუამავალთ;

თ) საქარხნო-საფაბრიკო ტიპის საწარმოთა მოიჯარადრეთ და მფლობელთ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) თეთრი არმიის ყოფილ ოფიცრებსა და მოხელეებს და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონური ბანდების ხელმძღვანელებს;

კ) ყოფილი პოლიციისა, ჟანდარმთა საგანგებო კორპუსისა და „ოხრანნოე ოტდელენიე“-ს ყველა მოსამსახურეს და აგენტს, სამეფო სახლის წევრს, აგრეთვე ყველა იმ პირს, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციისა, ჟანდარმერიისა და დამსჯელი ორგანოების მოქმედებას, როგორც სამეფო წყობილობის დროს, ისე თეთრი კონტრ-რევოლიუციონური მთავრობების დროს, მაგალითად: ყოფილ მინისტრს, მის ამხანაგს, სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორს, გენერალ-გუბერნატორს, იმ ადგილის მთავარმართებელს, სადაც შემოღებული იყო საგანგებო დაცვის წესები, სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორს, ვიცე-გუბერნატორს, თავად-აზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლს, განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელეს, სისხლის სამართლის დეპარტამენტის უფროსს თავმჯდომარეს და წევრს, აგრეთვე სასამართლო პალატის პროკურორს და პროკურორის ამხანაგს, საგანგებო საქმეთა გამომძიებელს, ყველა სახელწოდების სამხედრო სასამართლოების თავმჯდომარეებს და წევრებს, საგუბერნიო სამმართველოს წევრს, საერობო, საგლეხო და სამაზრო უფროსებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირს და საპატიმრო უწყების ყველა მოსამსახურეს;

ლ) ყველა რელიგიური კულტის ყოფილ და ახლანდელ მსახურს;

მ) ადმინისტრატიული წესით გადასახლებულ პირთ და აგრეთვე იმ პირთ, რომელთა შესახებაც გამოტანილია სასამართლოს განაჩენი, რითაც მათ, დანაშაულებრივ წრესთან კავშირის გამო, ჩამორთმეული აქვთ უფლება წინანდელ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრებისა; სასამართლოს განაჩენით უფლება-აყრილთ; თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფთ.

12. ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს უფლება ეძლევათ განსაზღვრონ იმ პირთა წრე ჩამოგდებული მთავრობებისა (მენშევიკებისა, მუსავატელებისა და დაშნაკებისა) და მათ თანამდებობის პირთა შედგენილობიდან, რომელთაც უნდა ჩამოერთვას საარჩევნო უფლება.

13. საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების ძირითადი ნორმების თანახმად, საარჩევნო უფლება არ შეიძლება ჩამოერთვას:

ა) მიწის-მუშა გლეხს, რომელიც თავის მეურნეობაში გამოიყენებს ერთი მუდმივი მუშის დაქირავებულ შრომას, განსაკუთრებული პირობების დროს, როგორიც არის: ავადმყოფობა, მობილიზაცია, საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევა, რაც მოითხოვს მეურნეობისაგან ჩამოშორებას და სხვ., მეურნეობის ასეთი მდგომარეობის მთელი ხნის განმავლობაში;

ბ) მიწათმოქმედს, რომელიც სოფლად გაცხოველებული მუშაობის დროს მოკლე ვადით დაიქირავებს არა უმეტეს 2 კაცისა ყანისა და თივის ასაღებად;

გ) შინამრეწველს და ხელოსანს, რომელიც ეწევა შრომითი მეურნეობას დაქირავებული ძალის გამოუყენებლად, ან რომელიც წარმოების პირობების გამო გამოიყენებს ერთი მოზრდილი მუშის ან ორი შეგირდის დაქირავებულ შრომას;

დ) თეთრ არმიაში თავის დროზე მობილიზაციით გაწვეულ მუშას, მშრომელ გლეხს, ყაზახს, შინა-მრეწველს და ხელოსანს.

**შენიშვნა.** თეთრი არმიის ყოფილ ოფიცერთა და მოხელეთაგან და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონური ბანდების ხელმძღვანელთაგან საარჩევნო უფლების სარგებლობა შეუძლიან მხოლოდ იმ პირს, რომლის შესახებაც არსებობს სსრ კავშირისა და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა სათანადო აქტი.

ე) იმ პირს, რომელიც იღებს შრომითი ანაბარისა და სახელმწიფო, კომუნალური და კოოპერატიული სესხის ობლიგაციების პროცენტს, უკეთუ ეს შემოსავალი მისი არსებობის ძირითად წყაროს არ შეადგენს, ან უკეთუ მას საარჩევნო უფლება სხვა საფუძველთა მიხედვით არა აქვს ჩამორთმეული:

ვ) იმ პირს, ვინც განსაკუთრებული მიზეზების გამო ეწევა წვრილ ვაჭრობას, როგორიც არის: შრომისა და ომის ინვალიდი, რომელიც ვაჭრობას ეწევა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების უფასო პატენტით, უმუშევარი მუშა და მოსამსახურე, რომელსაც 1-ლი კატეგორიის პატენტი აქვს, უკეთუ ეს საქმე მათთვის დროებითია;

ზ) იმ პირს, რომელიც დაქირავებით ან რელიგიური საზოგადოების არჩევით ასრულებს რელიგიური კულტის შენობათა და რელიგიური წესების ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ტეხნიკურ სამსახურს, როგორიც არის: დარაჯი, დამლაგებელი, მეზარე, მგალობელი და სხვ., და აგრეთვე სამრევლო საბჭოს წევრი, უკეთუ ამ პირთ საარჩევნო უფლება ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტუციების სხვა მუხლების თანახმად არა აქვთ ჩამორთმეული;

თ) თავისუფალი პროფესიის პირს, რომელიც საზოგადო-სასარგებლო შრომას ეწევა და რომელსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული არა აქვს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტუციების სხვა მუხლების თანახმად;

ი) იმ ოჯახის წევრს, რომელსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტუციებისა და ამა ინსტრუქციის საფუძველზე, არ ჩამოერთმევა საარჩევნო უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მატერიალურად დამოკიდებული არ არის საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთაგან და მის არსებობის წყაროს დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა შეადგენს.

**3. საარჩევნო უფლებათა აღდგენის წესი და იმ მოქალაქეთა საჩივრების განხილვის წესი, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩართმეული აქვთ.**

14. იმ პირთ, რომელთაც, ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტუციების თანახმად, ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება, როგორნიც არიან, მაგალითად, პოლიციისა, საპატიმრო უწყებისა, ჟანდარმთა კორპუსისა და სხვ. ყოფილი მოსამსახურენი (ამა ინსტრუქციის მე-11 მუხ. „კ“ პ.), შეიძლება ცალკე შემთხვევაში აღვადგინოთ საარჩევნო უფლება აღნიშნული რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებული დადგენილებით, უკეთუ ეს პირები ამჟამად ნაყოფიერ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევიან და დაამტკიცეს თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

15. ამავე წესით შეიძლება აღედგინოს საარჩევნო უფლება იმ პირს, რომელსაც ეს უფლება ჩამოერთვა, როგორც ექსპლოატატორთა კლასისათვის მიკუთვნებულს (მემამულე, ბურჟუაზია, რელიგიური კულტის მსახური), უკეთუ იგი სამი წლის განმავლობაში მაინც ეწევა ნაყოფიერ და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და დაამტკიცა თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

16. იმ პირს, რომელიც საარჩევნო კომისიის დადგენილებით შეტანილია საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულთა სიაში, შეუძლიან განასაჩივროს ეს დადგენილება ერთი კვირის განმავლობაში სიის გამოქვეყნების ან გამოფენის დღიდან.

17. საჩივარი მოქალაქეთა მიერ წინა მუხლში აღნიშნულ ვადაზე შეიტანება იმ საარჩევნო კომისიაში, რომელმაც სია შეიადგინა.

18. საარჩევნო კომისია, მიიღებს-რა საჩივარს, ვალდებულია, სამი დღის განმავლობაში მისი მიღების დღიდან, გაუგზავნოს იგი თავისი დასკვნით ზემდგომ საარჩევნო კომისიას, რომელმაც აგრეთვე სამი დღის ვადაზე უნდა განიხილოს ეს საჩივარი.

საჩივრის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება მოჩივარს იმ საარჩევნო კომისიის მეშვეობით, რომლის მოქმედების გამოც ეს საჩივარია შეტანილი.

უკეთუ საჩივარი დაკმაყოფილებულ არ იქნა, საარჩევნო კომისია თავის გადაწყვეტილებას სამი დღის განმავლობაში გაუგზავნის ზემდგომ საარჩევნო კომისიას, რომელიც მოქმედებს ზემოაღნიშნული წესისამებრ.

19. საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საკითხს, უზენაესი მმართველობის წესით, გადასწყვეტს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

## 4. საარჩევნო კრება.

20. საბჭოების წევრთა არჩევა მოხდება საარჩევნო კრებაზე.

21. საარჩევნო კრებას მოიწვევს საარჩევნო კომისია ან მისი რწმუნებული. კრების მოწვევისა და არჩევნების დღე და ადგილი უნდა ეცნობოს მოსახლეობას ხუთი დღით ადრე მაინც.

22. ქალაქში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას და საფაბრიკო-საქარხნო ადგილას საარჩევნო კრებები მოეწყობა სამრეწველო ან პროფესიონალურ ერთეულებში (საწარმო, დაწესებულება და პროფესიონალური კავშირი).

ის მოქალაქენი, რომელნიც საწარმოში არ შედიან და პროფესიონალურ კავშირებში დარაზმული არ არიან, როგორც, მაგალითად, შინამრეწველნი, დიასახლისები, მეეტლენი და სხვ., მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში ან დანარჩენ ამომრჩევლებთან ერთად წარმოებით და პროფესიონალურ კრებებზე, ან და ტერიტორიალურ ერთეულებში (რაიონი, უბანი და სხვ.).

სოფლად დიდი სოფელი საბჭოს არჩევნებისათვის შეიძლება დაიყოს საარჩევნო უბნებად; იმ სასოფლო საბჭოს არჩევნები, რომელიც რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელს აერთიანებს, მოხდება სოფლობით იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლები შორს არიან ერთი-მეორისაგან და მოსახლობის რიცხვიც საკმარისია სოფლის საბჭოს დეპუტატის ასარჩევად, და შეერთებულ კრებაზე—რამდენიმე სოფლისათვის, როდესაც მათი მოსახლეობა მცირერიცხოვანია და მანძილი სოფლებ შორის დიდი არ არის. ამომრჩეველი—მეხუტორენი და მეოტრუბენი არჩევნებისთვის შეუერთდებიან ახლო-მდებარე სოფელს, რომელიც აირჩევს სასოფლო საბჭოს რაიონში შედის.

**შენიშვნა.** დიდ სამრეწველო საწარმოში არჩევნების წარმოებისათვის საარჩევნო კრება შეიძლება მოხდეს საწარმოს ცალკე ნაწილებში; ამასთანავე შეიძლება ცალკე კანდიდატთა სიების წარდგენა.

23. საარჩევნო კრებაზე მიიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ.

24. საარჩევნო კრებას გახსნის საარჩევნო კომისიის მიერ საამისოდ რწმუნებამოსილი პირი და წარმართავს სამი კაცის შედგენილობით არჩეული პრეზიდიუმი საარჩევნო კომისიის რწმუნებულის თავმჯდომარეობით.

საარჩევნო კრების გახსნისას თავმჯდომარე ვალდებულია: ა) გააცნოს კრებას არჩევნების წესი: ბ) გამოაქვეყნოს ამომრჩეველთა რიცხვი და არჩევნებზე მოსულთა რიცხვი; გ) გამოაქვეყნოს საარჩევნო კრებამდე და თვით კრების დროსაც მიღებული სიები და სახელი და გვარი ცალკე კანდიდატებისა და აღნიშნოს, თუ ვისგან არის შემოსული ეს სიები.

25. არჩევნებზე ხმის მიცემა მოხდება ან სიების, ან ცალკე კანდიდატურების მიხედვით, თვით საარჩევნო კრების დადგენილებისამებრ.

**შენიშვნა 1.** საარჩევნო კომისიას და მის რწმუნებულს უფლება არა აქვს თვითონ დაასახელოს კანდიდატები ან წარუდგინოს ამომრჩევლებს კანდიდატთა სიები.

**შენიშვნა 2.** კანდიდატთა სია ან ცალკე კანდიდატურა შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც საზოგადოებრივი, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციის მიერ, ისე ცალკე მოქალაქეთა მიერ; ეს სია და კანდიდატურა შეიძლება წარდგენილ იქნეს თვით საარჩევნო კრებაზე ან გამოქვეყნდეს საარჩევნო კრებამდე ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ან გამოკიდვით. სიებით ხმის მიცემა არ სპობს სიაში მოთავსებული ცალკე კანდიდატების ჩამოცილების შესაძლებლობას.

26. არჩევნები სწარმოებს ხმის ახდილად მიცემით.

27. საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლება ის პირი, ვინც ხმის მიცემის დროს მიიღო ხმისმიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმის უმეტესობა.

28. თვითეული საარჩევნო კრება, დეპუტატების გარდა, ცალკე აირჩევს კანდიდატებს—საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული რაოდენობით და ფარგლებში.

29. საარჩევნო კრების პრეზიდიუმი შეადგენს ოქმს საარჩევნო კრების მსვლელობის შესახებ და ხელს მოაწერს მას.

30. ყოველი განცხადება და საჩივარი არჩევნების წარმოების შესახებ, წერილობითი ან სიტყვიერი ფორმით, წარედგინება სათანადო საარჩევნო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიას შვიდი დღის განმავლობაში არჩევნების დამთავრების მომენტიდან; კომისია ვალდებულია ეს განცხადება თუ საჩივარი თავისი განმარტებით სამი დღის განმავლობაში გაუგზავნოს ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

ზემდგომი საარჩევნო კომისია ვალდებულია განიხილოს ეს საჩივარი და განცხადება ერთი კვირის განმავლობაში მათი მიღების დღიდან.

31. მუშაობის დამთავრების შემდეგ, საარჩევნო კომისიები ყველა საარჩევნო მასალას ჩააბარებენ სათანადო საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს.

32. უკეთუ არჩევნები გაუქმებულ იქნა, ახალი არჩევნები მოხდება ამა ინსტრუქციით დადგენილი წესისამებრ.

33. ახალი არჩევნების წარმოებისათვის დაინიშნება სათანადო საარჩევნო კომისიის ახალი შედგენილობა.

34. არჩევნების გაუქმების საბაბად ჩაითვლება სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევა და აგრეთვე ამა ინსტრუქციისა და ა/კსფრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ინსტრუქციის დარღვევა; ამასთანავე, არჩევნების გაუქმება გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის ან ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციით, ან ამომრჩეველთა კრებაზე გამოცხადებით.

35. არჩევნების გაუქმება მოხდება სრულად—საბჭოს წევრთა მთელი შედგენილობის მიმართ ან ნაწილობრივ—საბჭოს ცალკე წევრთა მიმართ.

### 5. საბჭოთა ყრილობის მოწვევა.

36. საბჭოთა ყრილობას მოიწვევს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ.

37. ყრილობის არჩევნების სისწორისა და დეპუტატების რწმუნებულებათა შესამოწმებლად—საბჭოთა ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიას.

38. საბჭოთა ყრილობა, სამანდატო კომისიის მოხსენების მიხედვით, გამოიტანს დადგენილებას ყრილობისათვის წარმოებული არჩევნების სისწორისა და დელეგატების უფლებამოსილობის შესახებ.

### 6. საბჭოთა არჩევნების იმ ინსტრუქციების შესახებ, რაც გამოიცემა ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მიერ.

ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ ამა ინსტრუქციის განსავითარებლად, მასში აღნიშნული დირექტივების მიხედვით, გამოსცენ თავისი ინსტრუქციები საბჭოთა არჩევნების შესახებ და შეიტანონ მათში ესა თუ ის დამატება და ცვლილება ადგილობრივი ყოფაცხოვრების პირობების მიხედვით, როგორიც არის: მომთაბარე ხასიათი შრომითი მეურნეობისა, მესაქონლეობა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გამოცემული საარჩევნო ინსტრუქციები ეცნობება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

40. ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ შეიტანონ დამატებანი ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციაში ყოფაცხოვრების თავისებურებასთან და სხვა ადგილობრივ პირობებთან დაკავშირებით, ხოლო ეს დამატებანი წინასწარ დამტკიცებულ უნდა იქნენ ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ და ამავე დროს მათ შესახებ უნდა ეცნობოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

**805. ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის სექტემბრის 28-ს დამტკიცებული საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის (კანონთა კრებ. 1926 წ. № 66, მუხ. 500 და 501) საფუძველზე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 21. ტფილისი-სასახლე.

# დებულება ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესახებ

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან მოეწყობა ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი შედგენილობით: სამი წევრი ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა, რომელთაგან ერთერთს ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცებს; ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წარმომად-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გენელნი (სამი) და თითო წარმომადგენელი სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა, ამიერკავკასიის ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიისა და ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოსი.

2. ამიერკავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეკისრება:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს საარჩევნო კამპანიების წარმოებას ა/კსფსრ-ში;

ბ) დააწესოს მთლად ა/კსფსრ-სათვის ერთნაირი ფორმები საარჩევნო კამპანიისა, ბლანკებისა და საარჩევნო უწყებათა აღნუსხვისა და აგრეთვე ფორმები სათანადო ანგარიშგებისა და ინსტრუქციებისა;

გ) შეიმუშაოს და გაუგზავნოს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს კითხვარი დაწვრილებითი ანგარიშის შესადგენად და გამოსცეს ცირკულიარები და ინსტრუქციები არჩევნების წარმოებისათვის; განმარტოს ის საკითხები, რაც ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საარჩევნო კამპანიის წარმოების დროს აღიძვრის;

დ) ინსტრუქტიობა გაუწიოს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ცენტრალური საარჩევნო კომისიების მოქმედებას და შეათანხმოს ეს მოქმედება;

ე) წარუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ანგარიში ა/კსფსრ-ში არჩევნების მსვლელობის შესახებ საარჩევნო კამპანიის გამოცდილების აღნუსხვით.

3. დაკისრებული მოვალეობის განსახორციელებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება ეძლევა:

ა) მისცეს ხოლმე დავალება საარჩევნო კამპანიის საკითხების გამო, როგორც ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს, ისე ა/კსფსრ-ის ყველა ცენტრალურ ორგანოს ამ უკანასკნელის კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) მოსთხოოს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს პერიოდული ანგარიშები მათი მუშაობის შესახებ;

გ) დაბეჭდოს და გამოსცეს ხოლმე მასალა, წიგნები და ბიულეტენები საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;

დ) მოაწყოს ხოლმე ქვე-კომისიები და შეიყვანოს მათ შედგენილობაში იმ უწყებათა წარმომადგენელნი, რომელნიც კომისიის წევრებად არ არიან.

4. ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისია თავისი მოქმედებისათვის ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის აპარატს გამოიყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

**806. საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღნუსხვის ფორმებისა და ამომრჩეველთა აღნუსხვის სიების ფორმების შესახებ.**

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღნუსხვის ფორმებისა და ამომრჩეველთა აღნუსხვის სიების ფორმების შესახებ 1926 წლის ნოემბრის 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. სავალდებულოდ იქნეს ცნობილი ყველა სათანადო საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტისათვის საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და შედეგების აღსანუსხავად საარჩევნო საქმისწარმოებისა და სტატისტიკური და საინფორმაციო ანგარიშგების შემდეგი ფორმები: ამომრჩეველთა სახელობითი სიები ქალაქისა და სოფლისათვის; სახელობითი სიები საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთათვის; საარჩევნო კრებების ოქმები ქალაქისა და სოფლისათვის; სახელობითი სიები სოფლის საბჭოში და სათემო, საუბნო და სადაირო აღმასრულებელ კომიტეტებში არჩეულთათვის; სახელობითი სიები საქალაქო საბჭოებისა, მათი პრეზიდიუმებისა და აღმასრულებელი კომიტეტების წევრებად არჩეულთათვის; სახელობითი სიები სამაზრო, საოლქო და რესპუბლიკანური საბჭოთა ყრილობებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების წევრებად არჩეულთათვის; ჯუმლობითი ცხრილი სოფლად წარმოებული არჩევნებისა, სოფლის ხელისუფლების ორგანოების შედგენილობისა და აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და ავტონომიური ოლქებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობის შესახებ; ჯუმლობითი ცხრილი საქალაქო საბჭოების არჩევნებისა და ხელისუფლების საქალაქო ორგანოების შედგენილობის შესახებ.

**შენიშვნა.** 1-ლ მუხლში აღნიშნული საარჩევნო ანგარიშგების ფორმების შევსების დროს რაიმე შემოკლება ან ერთი ცნობების სხვა ცნობებით შეცვლა არ შეიძლება. საარჩევნო ანგარიშგების გაფართოება შეიძლება მხოლოდ ზემოაღნიშნული ფორმების დამატების სახით.

2. საარჩევნო ანგარიშგების შემუშავება და შედგენა დაევალება რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სამაზრო და საუბნო-სადაირო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე საქალაქო, სასოფლო და სათემო საბჭოებს—კუთვნილებისამებრ.

3. საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მე-2 მუხლში გათვალისწინებული წერილობითი ანგარიშგების რესპუბლიკანურ ზემდგომ აღმასრულებელ კომიტეტებში წარდგენის ვადები დაწესებულ იქნება ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

4. რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და შედეგის ანგარიშს წარუდგენენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს შემდეგი წესით:

ა) ორკვირეული ბიულეტენი საარჩევნო კამპანიის თვითეული გასული ორი კვირისათვის წარიდგინება სამი დღის განმავლობაში და შედგენილ იქნება რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული სადეპეშო ცნობების თანახმად;

ბ) რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ყოველთვიური წერილობითი მოხსენებანი, თანახმად ამასთანავე დართული საინფორმაციო ანგარიშგების სქემისა, თვითეული გასული თვისათვის წარდგენილ უნდა იქნეს ათი დღის განმავლობაში;

გ) დამთავრებული საარჩევნო კამპანიის წინასწარი ჯამი, შეჯამლილი სტატისტიკური ბარათების მიხედვით, წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა სათანადო რესპუბლიკაში საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ;

დ) საბოლოო წერილობითი ანგარიში და დასკვნა საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და შედეგის შესახებ ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში წარდგენილ უნდა იქნეს ორი თვის გასვლისას რესპუბლიკაში საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ

5. ამა დადგენილებით გაუქმებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების შესახებ წინად გამოცემული ყველა დადგენილება *).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1927 წ. დეკემბრის 21. ტფილისი-სასახლე.

---

*) ამ №-ში აღნიშნული სამი დადგენილება გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1368 №-ში 1926 წლის დეკემბრის 31-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 1.

შედგენილია: წელი ..................

თვე ..................

რიცხვი ..................

ეს სია შედგენილ იქნება სოფლის (თემის) საბჭოს მიერ, როგორც მუდმივი.

გამოყენებულ უნდა იქნეს საარჩევნო უწყებათა დასაგზავნად და საარჩევნო უფლების-მქონე პირთა შესახებ ცნობების შესადგენად.

ყოველწლიურად არჩევნების წინ შემოწმებულ უნდა იქნეს საარჩევნო კომისიის მიერ.

# სახელობითი სია

.................................................................. ამომრჩევლებისა

(უნდა აღინიშნოს სოფელი ან თემი, სასოფლო ან სათემო საბჭო, უბანი ან დაირა, მაზრა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა).

| № № რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | დაბადების წელი | სქესი | სოც. მდგომარეობა (გლეხი, ბოგანო-გლეხი, მუშა, შინამრეწველი, ხელოსანი, მოსამსახურე, აგრონომი, მიწისმზომელი, მასწავლებელი, ექიმი, მოსამართლე და სხვ.) | დრო საარჩევნო სიიდან გამორიცხვისა და გამორიცხვის მიზეზი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |

ფორმა № 2.

შედგენილია: წელი .................
თვე .................
რიცხვი .................

ეს სია შედგენილ იქნება ქალაქის საბჭოს მიერ ან საუბნო-სადაიონო აღმასკომის მიერ თითოეული საარჩევნო უბნისათვის ცალკე.

გამოყენებულ უნდა იქნეს საარჩევნო უწყებათა დასაგზავნად და საარჩევნო უფლების-მქონე პირთა შესახებ ცნობების შესადგენად.

ყოველწლიურად შემოწმებულ უნდა იქნეს საარჩევნო კომისიის მიერ.

# სახელობითი სია

.................ამომრჩევლებისა

(უნდა აღინიშნოს საარჩევნო უბანი, ქალაქი, მაზრა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა).

| №№ რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | დაბადების წელი | სქესი | სოც. მდგომარეობა (გლეხი, მუშა, მოსამსახურე, შინამრეწველი, ხელოსანი, მოსწავლე, თავისუფალი პროფესიის პირი, დიასახლისი და სხვ.) | დრო საარჩევნო სიიდან გამორიცხვისა და გამორიცხვის მიზეზი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 3.

შედგენილია: წელი ........................
თვე ........................
რიცხვი ........................

ეს სია შედგენილ იქნება სოფლის (თემის) ან ქალაქის საბჭოს მიერ, როგორც მუდმივი.

გამოყენებულ უნდა იქნეს არჩევნების დროს საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიების შესადგენად, მათვის უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების დასაგზავნად და უფლება-ჩამორთმეულთა შესახებ ცნობების გასაცემად.

საარჩევნო კომისია ყოველწლიურად შეამოწმებს სიებს, შეიტანს მასში დასაბუთებულ ცვლილებებს და გაუკეთებს მას სათანადო წარწერას შემოწმების შესახებ.

# სახელობითი სია

........................ საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა

(უნდა აღინიშნოს, სოფელი ან თემი, სასოფლო ან სათემო საბჭო, უბანი ან დაირა, მაზრა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა).

| №№ რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | საარჩევნო უფლების ჩამორთმევის მიზეზი: 1) ის პირნი, რომელნიც სცხოვრობენ არა-შრომითი შემოსავლით. 2) სამღვდელოება. 3) ყოფ. პოლიც. და ჟანდარმერიის აგენტები და სხვა პირნი, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება სსრკ ცაკისა, ა/კ. ცაკისა და სათანადო რესპ. ინსტრუქც. თანახმად. | რა დროიდან აქვს ჩამორთმეული საარჩევნო უფლება | დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოერთვას საარჩევნო უფლება. | დრო საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულთა სიიდან გამორიცხვისა. | მიზეზი სიიდან გამორიცხვისა: უფლების აღდგენა, სიკვდილი, სხვაგან წასვლა, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის დამთავრება, განკურნება | დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის პირი გამორიცხულია საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიიდან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 4.

გამოკიდულ უნდა იქნეს თვალსაჩინო ადგილას 20 დღით ადრე მაინც არჩევნების დაწყებამდე.

სოფლად წაკითხულ უნდა იქნეს ყრილობაზე.

შედგენილ უნდა იქნეს მთლად ქალაქისათვის ან სოფლისათვის.

# სახელობითი სია

........................................ საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა

(უნდა აღინიშნოს სოფელი, დასახლებული ადგილი, სასოფლო საბჭო, სათემო საბჭო, უბანი, დაირა. მაზრა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა).

| №№ რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | მიზეზი საარჩევნო უფლების ჩამორთმევისა:<br>1. ის პირნი, რომელნიც სცხოვრობენ არა-შრომითი შემოსავლით.<br>2. სამღვდელოება.<br>3. ყოფ. პოლიციისა და ჟანდარმერიის აგენტები და სხვა პირნი, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება თანახმად ინსტრუქციისა.<br>4. სულით ავადმყოფნი და მეურვეობაში მყოფნი.<br>5. ის ოჯახის წევრები, რომელნიც იმყოფებიან საარჩევნო უფლება-ჩამორთმეული პირის რჩენაზე. | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 5.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საარჩევნო უწყების ნომერი უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ამომრჩევლის ნომერს ამომრჩეველთა სახელობითი სიაში, თუ-კი ასეთი სია შედგენილია.

გაეგზავნება ყველა ამომრჩეველს 5 დღით ადრე მაინც საარჩევნო კრებამდე.

# საარჩევნო უწყება

მოქალაქე ........................................................
(გვარი, სახელი და მამის სახელი).

მისამართი ........................................................

საარჩევნო კომისია გიწვევთ თქვენ გამოცხადდეთ 192 წლის ..............

.................. „..........“ „..........“ საათისათვის ........................
(მისამართი)

შენობაში, ........................ საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

საარჩევნო კრებაზე პირადად გამოცხადებისას ამომრჩეველი ამ უწყებას მდივანს ჩააბარებს

**საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე**

---

საარჩევნო უწყება № .............. მივიღე ........................
(მიმღების ხელმოწერა)

რიცხვი .............. თვე .............. 192 წ.

(ეს ბარათი უნდა დაუბრუნოს საარჩევნო კომისიას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 6.

შედგენილ იქნება 2 ცალად: 1 ცალი გაეგზავნება სასოფლო საბჭოს, ხოლო მეორე—სოფლის საარჩევნო კომისიას.

# ოქმი

. . . . . უბნის, სოფ. . . . . . მოქალაქეთა საარჩევნო კრებისა . . . . სასოფლო საბჭოს, . . . . . უბნის . . . . . დაირის საბჭოს არჩევის შესახებ.

192 წ. . . . . . . . . . . . . . „ . . . "

საარჩევნო რაიონში შემავალი დასახლებული ადგილები:

**სახელწოდება. მცხოვრებთა რიცხვი:**

1. . . . . . . . . . . . . . . . . .
2. . . . . . . . . . . . . . . . . .
3. . . . . . . . . . . . . . . . . .

სულ . . . . .

რაიონში / სოფელში სულ . . . . ამომრჩეველია.

საარჩევნო კრებაზე გამოცხადდა . . . კაცი

თავმჯდომარეობდა: საარჩევნო კომისიის რწმუნებული . . . . . .

კრების პრეზიდიუმის წევრები { . . . . . . / . . . . . . / . . . . . .

მდივანი . . . . . . .

**დღის წესრიგი:**

1. სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრების არჩევა.
2. სასოფლო საბჭოს წევრთა კანდიდატების არჩევა.
3. სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.
4. სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატების არჩევა.
5. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

კრება დაიწყო . . . . საათზე; დამთავრდა . . . . საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-6 №-ის ფორმის გაგრძელება.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

გამოქვეყნება საარჩ. კანონების მუხლებისა საარჩევნო ინსტრუქციის მიხედვით.

სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრთა არჩევნები.

დასახელებულ იქნენ შემდეგი კანდიდატები:

მიცემული ხმების რიცხვი:

მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . .

საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ

. . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . მიერ

. . . . . . . . . . . . . . . .

დასახელებულ იქნენ თვით საარჩევნო კრებაზე . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრთა კანდიდატების არჩევნები.

დასახელებულ იქნენ შემდეგი კანდიდატები:

მიცემული ხმების რიცხვი:

მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . .

საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ

. . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . მიერ

. . . . . . . . . . . . . . . .

დასახელებულ იქნენ თვით საარჩევნო კრებაზე . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრებად არჩეულ არიან:

1. . . . . . . . . . . .
2. . . . . . . . . . . .
3. . . . . . . . . . . .
4. . . . . . . . . . . .

და სხვ.

საბჭოს წევრთა კანდიდატებად არჩეულ არიან:

1. . . . . . . . . . . .
2. . . . . . . . . . . .
3. . . . . . . . . . . .
4. . . . . . . . . . . .

და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-6 №-ის ფორმის გაგრძელება.

| მოისმინეს: | დაადგინეს: |
|---|---|
| სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები: | |
| დასახელებულ იქნენ შემდეგი კანდიდატები: | |
| მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . . | |
| საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ<br>. . . . . . . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . მიერ<br>. . . . . . . . . . . . . . . | სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ არიან:<br>1. . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . .<br>4. . . . . . . . . . . .<br>და სხვ. |
| დასახელებულ იქნენ თვით საარჩევნო კრებაზე . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . . | |
| სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატების არჩევნები: | |
| დასახელებულ იქნენ შემდეგი კანდიდატები: | |
| მიცემული ხმების რიცხვი:<br>მომხრე: . . . წინააღმდეგი: . . . | |
| საკავშირო კ. პ. (ბ) უჯრედის მიერ<br>. . . . . . . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . მიერ<br>. . . . . . . . . . . . . . . | სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატებად არჩეულ არიან:<br>1. . . . . . . . . . . .<br>2. . . . . . . . . . . .<br>3. . . . . . . . . . . .<br>4. . . . . . . . . . . .<br>და სხვ. |
| დასახელებულ იქნენ თვით საარჩევნო კრებაზე . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . .<br>. . . . . . . . . . . . . . . | |

**თავმჯდომარე**

**პრეზიდიუმის წევრები**

**მდივანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 7.

# ოქმი

. . . . . . . სასოფლო საბჭოს, სათემო საბჭოს საორგანიზაციო სხდომისა.
192 წ. . . . . . . . . . „ . . . “

დაესწრნენ: გადამწყვეტი ხმის უფლებით:

საბჭოს წევრები . . . . . . . . . . . . . .

გადამწყვეტი ხმის უფლებით:

საბჭოს წევრთა კანდიტატები . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . .

წინა მოწვევის საბჭოს წევრები . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . .

ამას გარდა, . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

(უკეთუ დამსწრეთა რიცხვი დიდია,—სია დართულ უნდა იქნეს ცალკე იმავე ცნობებით; უკეთუ კრებას დაესწრნენ ისეთი პირნი, რომელნიც დაწესებულებისა ან ორგანიზაციის წარმომადგენელნი არ არიან, მათი აღნიშვნა შეიძლება საერთო რიცხვით).

## დღის წესრიგი:

1. საარჩევნო კომისიის ანგარიში.
2. საბჭოს აღმასრულებელ ორგანოთა არჩევა.
3. სოფლებში რწმუნებულების დანიშვნა.
4. დელეგატების არჩევა აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში საუბნო-სადაირო ყრილობისათვის, ხოლო საქართველოს სსრ-ში სამაზრო ყრილობისათვის.
5. . . . . . . . . . . . . . . . .

---

**მოისმინეს:**

1. საარჩევნო კომისიის ანგარიში.
2. საბჭოს აღმასრულებელ ორგანოთა არჩევნები.
დასახელებულ იქნენ კანდიდატები თავმჯდომარის თანამდებობაზე:

მიცემული ხმების რიცხვი:
მომხრე . . . წინააღმდეგი . . .

1. . . . . . . . . .
2. . . . . . . . . .
3. . . . . . . . . .

**დაადგინეს:**

1. . . . . . . . . . . .
2. არჩეულ არიან:
თავმჯდომარედ: . . . . .
სასოფლო (სათემო) საბჭოს წევრებად:

. . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-7 №-ის ფორმის გაგრძელება.

| მოისმინეს: | დაადგინეს |
|---|---|
| თემის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა თანამდებობაზე: | |
| მიცემული ხმების რიცხვი: | |
| მომხრე: . . წინააღმდეგი: . . . | |
| 1. . . . . . . . . . | |
| 2. . . . . . . . . . | |
| 3. . . . . . . . . . | |
| 3. რწმუნებულების დანიშვნა სოფლებში . . | 3. სოფლებში რწმუნებულებად არჩეულ არიან: |
| დასახელებულ იქნენ კანდიდატები: | სოფ. . . . . . . . . . |
| მიცემული ხმების რიცხვი: | ამხ. . . . . . . . . . . |
| მომხრე: . . წინააღმდეგი: . . . | სოფ. . . . . . . . . . |
| 1. . . . . . . . . | ამხ. . . . . . . . . . . |
| 2. . . . . . . . . . | |
| 3. . . . . . . . . . | |
| 4. დელეგატების არჩევა აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში—საუბნო-სადაირო საბჭოთა ყრილობისათვის, ხოლო საქართველოს სსრ-ში—სამაზრო ყრილობისათვის. | 4. არჩეულ არიან: |
| დასახელებულ იქნენ კანდიდატები: | 1. . . . . . . . . . . |
| მიცემული ხმების რიცხვი: | 2. . . . . . . . . . . |
| მომხრე . . . წინააღმდეგი . . . | 3. . . . . . . . . . |
| 1. . . . . . . . . | |
| 2. . . . . . . . . . | |
| 3. . . . . . . . . . | |
| და სხვ. | |

თავმჯდომარე

მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 8.

# ოქმი

